

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მადონა წვრილაშვილი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების ტენდენციები
საქართველოში

სამაგისტრო პროგრამა: „ეკონომიკა“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო გრიგოლაია,
ეკონომიკის დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების ტენდენციას საქართველოს საფინანსო სექტორში. განხილულია თუ რა არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, მისი ფუნქცია მოვალეობები და როგორია მისი განვითარების საფეხურები. ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია ამ სექტორის არსებობას საქართველოსთვის სპეციფიკური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც მათი არსებობა აუცილებელია, რადგან ქვეყანაში მრავლადაა დაბალგადახდისუნარიანი ეკონომიკური აგენტები, აქედან გამომდინარე აქტიურია მოთხოვნა იმ პროდუქტზე, რასაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გვთავაზობენ. ნაშრომში ჩატარებულია კვლევა მათ მიერ წარმოდგენილ საკრედიტო პროდუქტების განვითარების მიმართულებით და კვლევის საფუძველზე გამოვლენილია პროგნოზი, თუ როგორ გაიზრდება ხელშეწყობა იმ ეკონომიკის ნაწილისთვის, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერაა დაფინანსებული.

მისო-ების მომხმარებელთა ძირითადი სეგმენტი წარმოადგენს კომპონენტს, რომელმაც კომერციულ ბანკში სესხი ვერ აიღო. ასეთი მომხმარებლები ვერ ათვისებენ სესხის მიზნობრიობასა და მნიშვნელობას. რის გამოც მაღალია სესხების გაპრობლემების შესაძლებლობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს უზრუნველყოფაში დატვირთული უძრავი თუ მოძრავი ქონების იძულებითი გზით რეალიზაცია.

სამაგისტრო ნაშრომში ვნახავთ თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით, როგორია გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. ასევე განხილული იქნება მისო-ების სამართლებრივი ბაზა, ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები და ამ რეგულაციების გავლენა მისო-ების ფინანსურ მაჩვენებლებზე, მათს გადაწყვეტილებაზე ბაზარზე დარჩენასთან დაკავშირებით.

ბოლოს კი დასკვნა და რეკომენდაციები იმის თაობაზე თუ რისი გამოსწორება იქნებოდა უკეთესი და როგორი სისტემა უნდა დაინერგოს იმისათვის, რომ მიაღწიოს განვითარების მაღალ დონეს.

Annotation

Microfinance organizations development trends in Georgia

The paper analyzes the credit system, functions and role, which has a market economy conditions. Credit market formation of historical and contemporary theories. Microfinance institutions, a credit to the efficient work. The credit system is a complex financial credit institutions, which uses the state's economy. It participates in the social reproduction of all components of the operation, as far as providing temporary free cash resources and their practical application to business activity.

The purpose of the work is to examine the significance of the existence of the sector, in the conditions of the market economy of Georgia, where the existence of their existence as any emerging economies, as they offer proactive demands on the amount of low-cost economic agents in the country Products. In the second part of the work, research has been conducted in terms of the development of credit products offered by them and the prediction of how to improve the part of the economy financed by credit organizations. The survey revealed that Georgia's policy of monetary tightening in the current period of increased demand for micro-finance organizations in the short run.

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი 1. საკრედიტო სისტემა და საკრედიტო ბაზარი	7
1.1 საკრედიტო სისტემის არსი და სტრუქტურა.....	7
1.2. საქართველოს საკრედიტო ბაზრის მიმოხილვა.....	19
თავი2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების ტენდენციები საქართველოში	34
2.1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ადგილი და როლი საქართველოს საკრედიტო სისტემაში	34
2.2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში	51
2.3.საბანკო რეგულაციების გავლენა საქართველოს საფინანსო სექტორზე	61
დასკვნები და რეკომენდაციები	73
გამოყენებული ლიტერატურა.....	76

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა. საქართველოს რეალობაში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა იყო და არის, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. როგორც ცნობილია, საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ვინაიდან იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საფინანსო სექტორის რისკების მუდმივი მონიტორინგი, როგორც ცალკე აღებული საფინანსო ინსტიტუტის, ასევე მთლიანად სექტორის დონეზე. საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის სისტემური რისკების შესწავლის მიზნით წელიწადში ერთხელ აქვეყნებს მის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგებს - ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს, სადაც სტანდარტული მაკროეკონომიკური ანალიზისგან განსხვავებით ასახულია მოვლენები, რომელთა მოხდენის ალბათობის დადგენა რთულია, მაგრამ რისკის მატერიალიზაციის შემთხვევაში უარყოფითი ზეგავლენა - არსებითი.

ეროვნული ბანკი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის დეკემბრიდან, პასუხისმგებელია საფინანსო სექტორის ცალკეულ მონაწილეთა - კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობასა და რეგულირებაზე. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შემოწმების შედეგად დაადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააფრთხილოს იგი, დააკისროს ფულადი ჯარიმა ან მიიღოს გადაწყვეტილება

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

ნაშრომში გაანალიზებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ემსახურებიან მომხმარებელთა დიდ რაოდენობას საქართველოს რეგიონებში, სადაც ნაკლებადაა განვითარებული კომერციული საბანკო ინფრასტრუქტურა. დღესდღეობით დაახლოებით 350 ათასი მსესხებელი იღებს შესაბამისი ხარისხის მომსახურებას, ხოლო მისო-ების ქსელი მოიცავს 450-მდე ფილიალს, რომლებშიც ჯამურად დასაქმებულია 5,200-მდე ადამიანი. წვდომა ფინანსებზე, საკრედიტო დისციპლინა და ფინანსური განათლება არის იმ წვლილის მცირე ნაწილი, რომელიც მიკროსაფინანსო სექტორს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში შეაქვს.

ასევე, განხილულია სებ-ის ახალი რეგულაციები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საბანკო სისტემის საქმიანობის შესახებ. ამ რეგულაციების გავლენა მისო-ების საქმიანობაზე. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა საქმიანობა 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყეს. 2006 წლიდან კი მათი რაოდენობის აქტიური ზრდა იწყება, რაც 2016 წლამდე გრძელდება. 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსაც შეეხო, რამაც მათ გარკვეული ნაწილის დახურვა გამოიწვია. ბაზარზე შემორჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებიც მომხმარებელთა ინტერესების დაკმაყოფილებას კეთილსინდისიერად ცდილობდნენ და მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზე არ იყვნენ ორიენტირებული. რეგულაციების ახალი ტალღა კვლავ მოლოდინშია, რაც კიდევ ერთი გამოცდა იქნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. ბაზარზე დარჩებიან მხოლოდ ისინი, ვინც ბიზნესს კეთილსინდისიერად აწარმოებს.

კვლევის მიზანია განვიხილოთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, როგორც საკრედიტო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, მათი არსი და როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და დავსახოთ განვითარების ტენდენციები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე შევეცადეთ გადაგვეწყვიტა ისეთი ამოცანები, როგორიცაა წარსული და სამომავლო შეხედულებები დაკრედიტებასთან

დაკავშირებით, თუ როგორ პოლიტიკის გატარებას აპირებენ ისინი. გაამკაცრებენ თუ არა მოთხოვნებს მომხმარებლების მიმართ და ამით შეამცირებენ სამომავლო რისკებს, თუ მაღალი საპროცენტო განაკვეთის ხარჯზე შეამცირებენ მოთხოვნებს მომხმარებლის მიმართ და გაზრდიან გაცემული სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ რისკებს.

კვლევის ობიექტია საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. კვლევის საგანია საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების გავლენა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

ნაშრომის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტალური დებულებები, კლასიკური და თანამედროვე ფინანსების თეორიები, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები საფინანსო ბაზრის შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომში დასახული ამოცანების, ფაქტობრივი მასალის ანალიზის პროცესში, კვლევის ზოგად მეცნიერულ მეთოდებთან (დაკვირვება, შედარება, ანალიზი და სინთეზი) ერთად, გამოყენებულია ემპირიულ მონაცემთა სისტემატიზაცია, მიღებული შედეგის, ზოგად დასკვნებსა და კანონზომიერებებს შორის ურთიერთკავშირის ფორმალურ-ლოგიკური აღწერა, სტატისტიკური კვლევის მეთოდები, სისტემური მიდგომის, ანალოგიების, სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი, განზოგადებისა და სისტემატიზაციის მეთოდები. გამოყენებულიქნა სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და ჩატარდა გამოკითხვა რესპოდენტებთან სტრუქტურიზებული კითხვარის საშუალებით.

თავი 1. საკრედიტო სისტემა და საკრედიტო ბაზარი

1.1 საკრედიტო სისტემის არსი და სტრუქტურა

საკრედიტო სისტემა არის იმ ფინანსურ დაწესებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ეწევიან საკრედიტო საქმიანობას და რომლებსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის წინსვლისთვის და ხელშეწყობისთვის. რადგან აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების თავმოყრას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას სამეურნეო საქმიანობაში, შესაბამისად იგი მონაწილეობს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა რგოლის ფუნქციონირებაში.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს სხვადასხვა რგოლს, რომლებიც ასრულებენ ინდივიდუალურ, სპეციფიკურ ფუნქციებს ფულადი საშუალებების თავმოყრისა და განაწილების პროცესში. საკრედიტო სისტემის შემადგენელ რგოლებს შორის ფუნქციების განსხვავებულობა გამოწვეულია მათი საქმიანობის მეთოდებისა და საშუალებების სხვადასხვაობით, ასევე კვლავწარმოების პროცესში კაპიტალის მიერ შესრულებული სხვადასხვა როლით.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამ ძირითად ჯგუფს:

1. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
2. საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები);
3. სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

საკრედიტო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცენტრალურ ბანკს. აღნიშნული ბანკი, როგორც წესი, სახელმწიფოს საკუთრებაშია და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ აქვს საგანგებო ფუნქციების შესრულება. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და მისი სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. ეროვნული ბანკის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის შენარჩუნება.

პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში აღნიშნული ბანკი, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკი, 1991 წლიდან არსებობს.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ მის საქმიანობაში ჩარევის უფლება. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის უფლება-მოვალეობები, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. იგი ფლობს, მართავს და განკარგავს ქვეყნის ოფიციალურ, საერთაშორისო რეზერვებს. საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია, უზრუნველყოს მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების შესრულება იმ მარეგულირებელი და მონეტარული ინსტრუმენტებით, რომლებიც მის ხელში იმყოფება.

საფინანსო სექტორის ფინანსური სიმყარისა და გამჭვირვალობის საკეთილდღეოდ, ეროვნული ბანკი ზედამხედველობს ფინანსურ სექტორს, ამ სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით. საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის“ ხელშეწყობით ეროვნული ბანკი ახორციელებს უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას და ტერორიზმის დაფინანსების აკრძალვის ღონისძიებებს. ამასთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკი არის მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხს აგებს, ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოებასა და გავრცელებაზე საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად, აგრეთვე, უზრუნველყოს ქვეყანაში საგადახდო სისტემების ეფექტური და გამართული ფუნქციონირება. საქართველოს ეროვნულ ბანკს განსაკუთრებული უფლება აქვს, მოახდინოს

საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების, როგორც გადახდის კანონიერი საშუალების, გამოშვება, ასევე, მიმოქცევისათვის ან ნუმისმატიკური მიზნებისათვის სამახსოვრო მონეტების მოჭრა.

საქართველოს ეროვნული ბანკს უფლება აქვს, საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნების მთავრობებს, კომერციულ ბანკებსა და ფულად-საკრედიტო ორგანოებს, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებს. საქართველოს ეროვნული ბანკი მონაწილეობას იღებს იმ საერთაშორისო დონის ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთა მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება.

საბანკო სექტორი:

თანამედროვე საკრედიტო სისტემაში შემავალ რგოლებს, ყველას სხვადასხვა როლი აქვს, მაგრამ საბანკო სექტორის მნიშვნელობა ძალიან დიდია და იგი საკრედიტო რესურსების მობილიზებაში პირველ ადგილზეა. ამ სექტორში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომერციული ბანკებს, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ დაკრედიტებას მრეწველობასა და ვაჭრობაში. განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო სისტემის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბანკო სექტორის ფუნქციონირების მრავალფეროვნებაზე.

საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს კომერციული ბანკები წარმოადგენენ ისინი პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო მომსახურებას ახორციელებენ. კომერციული ბანკების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფუნქციებს წარმოადგენს: სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტება, მათ შორის ანგარიშწორების განხორციელება, ანაბრების მიღება და სხვ.

შემნახველი ბანკები ადგილობრივი დანიშნულების საშუალო საკრედიტო ორგანიზაციებია, რომლებიც ეროვნულ ასოციაციებში ერთიანდებიან და ჩვეულებრივად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებიან და ხშირად მის საკუთრებას წარმოადგენენ. შემნახველი ბანკების პასიური ოპერაციები მოიცავს მოსახლეობიდან მიმდინარე და სხვა ანგარიშებზე ანაბრების მიღებას. აქტიური ოპერაციებს მიეკუთვნება სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტები, საბანკო

სესხები, სახელმწიფოდა კერძო ფასიანი ქაღალდები შეძენა. შემნახველი ბანკები ასევე უშვებენ საკრედიტო ბარათებს.

საინვესტიციო ბანკები (დიდ ბრიტანეთში– საემისიო სახლები, საფრანგეთში –საქმიანი ბანკები), სპეციალიზირდებიან საემისიო-სადამფუძვნებლო ოპერაციაზე. იმ საწარმოების ან სახელმწიფოს დავალებით, რომელთაც გრძელვადიანი დაბანდება ესაჭიროებათ და უშვებენ აქციებსა და ობლიგაციებს. საინვესტიციო ბანკები საკუთარ თავზე იღებენ დაბანდების მოცულობის, პირობის, ემისიის ვადის, ფასიანი ქაღალდების ტიპის შერჩევის განსაზღვრას, აგრეთვე მათი განთავსებისა და მეორადი მიმოქცევის ორგანიზაციის ვალდებულებებს. ასეთი სახის დაწესებულებები, თავიანთ ხარჯზე შეძენისა და გაყიდვის ან ამისათვის საბანკოს ინდიკატების შექმნის ორგანიზებით, აქციებისა და ობლიგაციების მყიდველზე სესხის გაცემით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შეძენის გარანტორები არიან;

იპოთეკური ბანკები, ისეთი სახის დაწესებულებებია, რომლებიც გრძელვადიანი კრედიტების გაცემას უძრავი ქონების (მიწა, შენობა, ნაგებობა) გირაოთი უზრუნველყოფენ. ამ ბანკების როლი პასიური ოპერაციების გამოყენებაში გამოიხატება;

საბანკო ჰოლდინგი, რომელიც ფლობს სხვა კომპანიების აქციების პაკეტსა და სხვა სახეობის ფასიან ქაღალდებს და ასევე წარმოადგენს ამ ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების განმხორციელებელ კომპანიას. გარდა სუფთა ჰოლდინგებისა, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებს ახორციელებენ, ასევე არსებობენ სხვა შერეული ჰოლდინგებიც, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში სამეურნეო საქმიანობასაც ეწევიან.

სამიწათმოქმედო ბანკები (ძირითადად ორიენტირებული არიან აგრარულ სექტორზე), სპეციალური სავაჭრო ბანკები და სხვ.

თანამედროვე მაღალ განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ განვითარდა სპეციალური არა საბანკო საკრედიტო-საფინანსო ნსტიტუტები, რომლებიც აკრედიტებენ სამეურნეო საქმიანობის კონკრეტულ დარგებსა და სფეროებს. მათ საქმიანობაში დომინირებს ერთიან ორი ძირითადი ოპერაცია, ამიტომ

სპეციფიკური მომხმარებლები ჰყავთ.

თანამედროვე საკრედიტო სისტემის ამ მესამე ჯგუფს განეკუთვნება:

სადაზღვევო კომპანიები, რომელთა შემოსავლის წყაროს დაზღვევის პოლისების რეალიზაცია წარმოადგენს. ეს კომპანიები თავიანთ სახსრებს სამრეწველო კომპანიების აქციებში, ობლიგაციებსა და ხელმწიფოს ფასიან ქაღალდებში ათავსებენ. დაზღვევის კომპანიები გრძელვადიან სესხებს აძლევენ საწარმოებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. ეს კომპანიები დაზღვევის ობიექტის მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: სიცოცხლის დაზღვევა და ქონების დაზღვევა. დაზღვევის კომპანიების შემოსავალი, ბევრად აღემატება პოლისების მფლობელთათვის დადგენილ გადასახადებს;

საპენსიო ფონდები, მათ ძირითადად ქმნიან კერძო კომპანიები და სახელმწიფო დაწესებულებები მუშებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით. კერძო საპენსიო ფონდები იქმნება მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე მეწარმეთა ფულადი შენატანების საფუძველზე. საპენსიო ფონდები ერთმანეთისაგან განსხვავდება აქტივების, ორგანიზაციისა და მართვის სტრუქტურის მიხედვით. საპენსიო ფონდებში კაპიტალის დაგროვების განსხვავებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ფორმირდება ძირითადად მეწარმეთა და მუშა-მოსამსახურეთა საწევრო შენატანები. რადგან ისინი ძირითადად გრძელვადიან ფულად სახსრებს ფლობენ, საპენსიო ფონდები ამ სახსრებს აბანდებენ სახელმწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებში.

ფინანსური კომპანიები, სპეციფიკური საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სამომხმარებლო კრედიტის სფეროში. მათ მიეკუთვნება ინსტიტუტები, რომლებიც საცალო საბითუმო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვას აკრედიტებენ. ამ კომპანიების ფართოდ გაშლილი ქსელი არსებობს აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და იაპონიაში. ფინანსური კომპანიები ორი სახისაა: პირველი ეს არის საქონლის ნისიად გაყიდვის დაფინანსება, მეორე - პირადი დაფინანსების სახე. ორივე შემთხვევაში კომპანია სესხებს გასცემს ერთიდან სამ წლამდე ვადით.

საქველმოქმედო ფონდები. მათი განვითარება დაკავშირებული იყო სხვადასხვა მიზეზებთან. ჯერ ერთი, ქველმოქმედება მეწარმეობის ძირითადი შემადგენელი ნაწილი გახდა, მეორე, საქველმოქმედო ფონდების შექმნას პრაქტიკული მიზეზები გააჩნდა—მოსახლეობის მდიდარი ფენა თავს არიდებდა გადასახადების გადახდას და საკუთარი ფულადი სიმდიდრის შემადგენელ ნაწილს საქველმოქმედო მიზნებისათვის გასცემდა. უნივერსიტეტები, სკოლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ხელოვნების, კულტურის, საეკლესიო დაწესებულებები და სხვა, ყველა ეს აღნიშნული დაწესებულება ფინანსდება კერძო პირებისა და კორპორაციების მიერ საქველმოქმედო ფირმების შექმნით.

საკრედიტო კავშირები, იგივე კოოპერატივებია, რომელებსაც აარსებენ მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფები პროფესიული ან რელიგიური პრინციპების მიხედვით. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების საფუძველზე განსაზღვრული სახის აქციების შეძენის გზით. მას იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტებისთვის.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები— წარმოადგენენ ფინანსური შუამავლების სახეს, რომელებიც კომერციული ბანკების ალტერნატივას წარმოადგენენ. მას ახასიათებს სესხის მცირე ზომა, დაკრედიტება უზრუნველყოფის/გირაოს გარეშე და დაბალი შემოსავლების მქონე მეწარმეები, რომლებსაც იმის გამო რომ საკრედიტო ისტორიისა და სესხის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივები არ გააჩნიათ, არა აქვთ წვდომა საბანკო მომსახურების მიღებაზე.

მიკროდაფინანსება, როგორც მზარდი ინდუსტრია შეიქმნა მიკრო კლიენტებისთვის, მცირე ბიზნესისა თუ მცირე საწარმოებისთვის ფინანსური მომსახურების გასაწევად, რომლებშიც შედის არა მხოლოდ კრედიტები, არამედ მიკროშენახველები და მიკროდაზღვევაც. მიკროდაკრედიტების სფერო შეიქმნა სპეციალიზებული არასამთავრობო დაწესებულებებისა და ბანკების მიერ, ისეთი როგორიცაა Bank Rakyat Indonesia, Grameen Bank Bangladesh და სხვ. იმის გამო, რომ მსოფლიოს მთლიანი მოსახლეობიდან 500 მილიონი მიკრო კლიენტი ეკონომიკურად აქტიურია, მაგრამ არ აქვთ საშუალება ისარგებლონ დიდი მოცულობით ფინანსური სერვისებით, მიკროდაფინანსების ინდუსტრიამ მიაღწია

განვითარების მაღალ დონეს და ჩამოყალიბდა როგორც მცირე შემოსავლის ბაზარზე სპეციალიზებული ყველაზე სტაბილური ფინანსური ინსტიტუცია.

მიკროფინანსები ფინანსური შუამავლობის სახეობაა, რომელიც კომერციული ბანკების ალტერნატივას წარმოადგენს. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: სესხის მცირე ზომა, დაკრედიტება უზრუნველყოფის გარეშე და დაბალი შემოსავლების მქონე მეწარმეები, რომლებსაც საკრედიტო ისტორიისა და სესხის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივების უქონლობის გამო არა აქვთ წვდომა საბანკო მომსახურებაზე. მიკროფინანსების ადრეული მოდელები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თითქმის 40 წლის წინ გაჩნდა და მათ ბანგლადეშელი ეკონომიკის პროფესორის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მუჰამედ იანუსის სახელს უკავშირებენ. მან პირველმა სცადა სოლიდარული პასუხისმგებლობით ჯგუფური სესხის გაცემა, რაშიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. აღნიშნულ მოდელში საკრედიტო რისკი შემცირებული იყო მსესხებელთა ჯგუფის წევრების მიერ სოლიდარულად გაზიარებული პასუხისმგებლობით. თუ ერთი მსესხებელი ვალს ვერ აბრუნებდა, მის ნაცვლად სესხს ისტუმრებდნენ ჯგუფის დანარჩენი წევრები. სოლიდარულმა პასუხისმგებლობამ ჩაანაცვლა სესხის აქტივებით უზრუნველყოფა, რომლის უქონლობა ან არასაკმარისობა წარმოადგენდა ბარიერს საბანკო სესხის მიღებისას.

გასაკვირი არ არის, რომ საბანკო მომსახურების ალტერნატივა – მიკროფინანსები – გაჩნდა იქ, სადაც ძალზე სუსტი იყო ტრადიციული საბანკო მოდელი. დღეს მიკროფინანსებით უკვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ავტორებიც ინტერესდებიან, რადგან მიკროფინანსებს შესწევთ იმ “ნაპრალების” ამოვსების უნარი, რომლებიც ეკონომიკაში ფინანსებზე წვდომის კუთხით არსებობს. ღრმა ფინანსური შუამავლობის მქონე ეკონომიკებშიც, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის ქვეყნები, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისის შემდეგ, მოსახლეობის სოციალურად მოწყვლადი ფენა ვერ მიმართავს ტრადიციულ პროვაიდერებს – კომერციულ ბანკებს, ამიტომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გონივრულ ალტერნატივას წარმოადგენს.

თუმცა ყველაზე განვითარებული მიკროსაფინანსო ინდუსტრია არსებობს ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ადრიაანად მოხდა დარგის კომერციალიზაცია.

თავდაპირველად ფინანსური მომსახურების ამ ინოვაციური ფორმით საერთაშორისო განვითარების სააგენტოები და მათი დონორები დაინტერესდნენ, რომლებმაც მასში სიღარიბის დაძლევის იაფი გზა დაინახეს. 2005 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მიკროფინანსები სიღარიბის დაძლევის “კრიტიკულ იარაღად” გამოაცხადა. ყველა ხიბლს ემატებოდა ისიც, რომ მიკროსაფინანსო მომსახურების მომხმარებლებს ძირითადად ქალბატონები წარმოადგენდნენ.

ეიფორია მალევე დასრულდა, როცა აღმოჩნდა, რომ მიკროფინანსები სიღარიბის დაძლევის “პანაცეას” არ წარმოადგენდა და შემოსავლების გარკვეულ ზღვარს ქვემოთ მათ უარყოფითი გავლენის მოხდენა შეეძლო მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღმოჩნდა, რომ “კაპიტალზე წვდომა”, რაც თითქოსდა მდიდარს განასხვავებდა ღარიბისგან, არ იყო საკმარისი სიღარიბის დასაძლევად. ფინანსებზე წვდომამ გასაგები მიზეზების გამო ვერ გამოიწვია მსესხებლების სრულყოფილი ინტეგრაცია ეკონომიკურ პროცესებში. უფრო მეტიც, ეკონომიკური განვითარებისთვის განკუთვნილი ფულადი ნაკადები წარიმართა სამომხმარებლო საჭიროებების დასაფინანსებლად. გადაჭარბებულ მოლოდინებს იმედგაცრუება მოჰყვა და მიკროფინანსების ოპონენტები მიკროფინანსების “სასიკვდილო მახეზე” ალაპარაკდნენ.

აღნიშნულ კრიტიკას ხელი შეუწყო ინდუსტრიის სწრაფმა კომერციალიზაციამ და კაპიტალის მოზღვავენამ. საინვესტიციო წრეებში გაჩნდა ახალი საინტერესო ინსტრუმენტი, რომელიც ხასიათდებოდა მაღალი დაბრუნებადობით, არ იყო კორელირებული ეკონომიკურ ციკლებთან და რომელსაც შეეძლო დადებითი ეფექტის მოხდენა სიღარიბეზე, რაც გარდა ფინანსური უკუგებისა, მნიშვნელოვან რეპუტაციულ დივიდენდს ჰპირდებოდა ინვესტორებს. ამ ინფორმაციამ დიდი კაპიტალი მიიზიდა ჯერ კიდევ მყიფე მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში, რომელსაც არ გააჩნდა საკმარისი სიმძლავრეები და – რაც მთავარია – პოლიტიკური რისკების

მოგერიების გამოცდილება. 2010 წლამდე, მაგალითად, ინდოეთის შტატ ანდრა პრადეშის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ინვესტორების რიგები იდგა. მიკროსაფინანსო სექტორში ინვესტიციები კომპანიის საბუღალტრო ღირებულებასთან შედარებით 10-დან 15-მდე მულტიპლიკატორით ხორციელდებოდა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გამსხვილდნენ, შეავიწროეს გაზარმაცებული ბანკები, რითაც დიდ კორპორაციულ ინტერესებს დაუპირისპირდნენ.

ანდრა პრადეშში მიკროფინანსების კრიზისი რამდენიმე საგაზეთო სტატიით 2010 წლის შემოდგომაზე დაიწყო, რომელიც პოლიტიკურმა პარტიებმა აიტაცეს და პოპულარულ ტალღაზე საკრედიტო არდადეგების გამოცხადებით პრაქტიკულად მოსპეს ფინანსური ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჟურნალისტების ინტერესი გამოიწვია თვითმკვლელობების მომატებულმა შემთხვევებმა, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უკავშირდებოდა. უარყოფითი ტალღა განავრცო მსოფლიო მედიამ და გარკვეული დროის განმავლობაში ტაბლოიდებიდან არ ქრებოდა კრიტიკა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საპროცენტო განაკვეთების, კლიენტების გაღარიბებისა და დიდი მიკროსაფინანსო მახის შესახებ. დღესაც მიმდინარეობს პოლემიკა იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია “თვითმკვლელობების სეზონი” ინდოეთის ხსენებულ შტატში – მიკროსაფინანსო ინდუსტრიის აგრესიულმა ქცევამ, გენეტიკურად მოდიფიცირებულმა საკვებმა პროდუქტებმა, თუ უბრალოდ დაბალმოსავლიანმა წელმა, რაც ისტორიულად წარმოადგენდა მომატებული თვითმკვლელობების მიზეზს ინდოეთის ფერმერებით დასახლებულ შტატებში.

პოლიტიკურ შეტევას დეფოლტების სერია მოჰყვა, რამაც ინვესტორები დააფრთხო და დაბანდება საგრძნობლად შეამცირა. ამან, თავის მხრივ, ადგილობრივი ბიზნესის მხრიდან ფინანსებზე წვდომა გააუარესა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაღმასვლა განაპირობა. მსგავსი კრიზისი სხვადასხვა ფორმით განმეორდა ნიკარაგუაში, პაკისტანში, ნიგერიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

რასაკვირველია, მიკროსაფინანსო ინდუსტრიის კრიზისის თავიდან აცილება აღნიშნულ ქვეყნებში შესაძლებელი იყო, რომ არა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ისეთი უბეში შეცდომები, როგორცაა ზრდის მაღალი ტემპით გამოწვეული მომხმარებლების ჭარბვალიანობა, სასესხო ხელშეკრულების გამჭვირვალობის პრობლემები და სესხის ამოღების აგრესიული პრაქტიკა.

ამ მწარე გაკვეთილის გამო მიკროსაფინანსო ინდუსტრია შეიცვალა – უფრო თვითკრიტიკული, ფრთხილი და პასუხისმგებლიანი გახდა. ის ნელ-ნელა იბრუნებს დაკარგულ სახელს. ამ გადმოსახედიდან ნათელია, რომ სწორი რეგულირების ან თვითრეგულირების პირობებში მიკროფინანსებს უადრესად დადებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ მოწყვლადი სოციალური ფენის ფინანსური ინტეგრაციისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საქმეში. ფინანსური შუამავლობის ვერც ერთი ფორმა, მათ შორის მიკროფინანსები, ცალკე აღებული, ვერ განაპირობებს ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ მას შეუძლია ეკონომიკური ცხოვრების არასტაბილურობისაგან მომხმარებლის დაცვა და ეკონომიკურ საქმიანობაში მისი ეფექტური ინტეგრირება.

საქართველოში, როგორც თითქმის ყველა განვითარებად სახელმწიფოში მიკროდაკრედიტების ინდუსტრია კარგად განვითარდა და დღესდღეობით რეგიონში 56 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა რეგისტრირებული, რომელთაგან პირველი „ქართული კრედიტი“ 2006 წელს შეიქმნა, მათი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. ამავე დროს, შექმნილია საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებისა და მხარდაჭერის ასოციაცია¹, რომელიც 2009 წლიდან ხელს უწყობს სექტორის განვითარებასა და გაძლიერებას, სამართლებრივი გარანტიებისა და საქმიანობის კოორდინაციას, იცავს ამ ორგანიზაციების უფლებებსა და ინტერესებს. მთავრობა უდიდეს როლს ასრულებს მიკროსაფინანსო გარემოს შექმნაში, რაც გულისხმობს პოლიტიკური სტაბილურობის, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს, დაბალი ინფლაციის განაკვეთისა და საპროცენტო განაკვეთების ზღვრების შენარჩუნებას, სწორედ ეს

¹www.microfinance.ge

ფაქტორები იძლევა საშუალებას განხორციელდეს მიკროდაკრედიტებისა და მიკროშენახვის ოპერაციები, თუმცა დღესდღეობით ზოგიერთ ქვეყანას შემუშავებული არ აქვს MFI-ების ეფექტური მართვის პოლიტიკა.


რა თქმა უნდა, სხვა ფინანსური ინსტიტუციის მსგავსად მიკროდაკრედიტებასაც ახასიათებს გარკვეული რისკები და შესაძლებლობები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბანკებისგან განსხვავებით არარეგულირებადია და ხასიათდება შემდეგი რისკებით: კრედიტ რისკები, ლიკვიდირებულ რისკები, საბაზრო ან ფასისმიერი რისკები, ოპერაციული რისკები, ლეგალური რისკები და სტრატეგიული რისკები.

რისკების უმრავლესობა თავმოყრილია სამ ძირითად ჯგუფში:

1. ფინანსური რისკები მოიცავს: სტრატეგიულ რისკებს, კრედიტ რისკებს, ტრანზაქციის რისკებს, პორტფოლიოს რისკებს, საპროცენტო რისკებს, ლიკვიდირებულ რისკებს, საბაზრო რისკებს, ოპერაციულ რისკებს, უცხოური ვალუტის გაცვლა-გამოცვლის რისკებს და ინვესტიციის რისკებს.

2. ოპერაციული რისკები შეიცავს: ტრანზაქციის რისკებს, თაღლითობასთან დაკავშირებულ რისკებს, ადამიანური რესურსების რისკებს, საინფორმაციო და ტექნოლოგიურ რისკებს,

3. სტრატეგიულ რისკებში შედის: სამთავრობო რისკები, სარეპუტაციო რისკები, საგარეო ბიზნეს რისკები, არაეფექტური, უყურადღებო, სუსტი სამთავრობო სტრუქტურები,



საფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და რეგულატორები ამ რისკებს ახასიათებენ შემდეგნაირად:

- ორგანიზაციების პოტენციური ზემოქმედება წაგება;
- შიდა მენეჯმენტის რისკების ხარისხი და საინფორმაციო სისტემები;
- კაპიტალის ადეკვატურობა და ნაღდი ფული, როგორც იდენტიფიცირებული და არაიდენტიფიცირებული დანაკარგების შთანთქმა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მენეჯმენტი განსაზღვრავს, შესაძლებელია თუ არა, რისკის ადვილად გაზომვა და მართვა, ასევე განსაზღვრავს მოსალოდნელ დანაკარგების რაოდენობას, ზომავს ორგანიზაციის შესაძლებლობებს, წინააღმდეგობა გაუწიოს მსგავსი სახის რისკებს. ეფექტური რისკ მენეჯმენტი აერთიანებს MFI-ში, სისტემატური პროცესების ოპერაციებს, რათა ჯერ მოხდეს სხვადასხვა სახის რისკების იდენტიფიცირება და გაზომვა და საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს სწრაფად მოახდინონ რეაგირება, როგორც შიდა, ასევე გარე რისკებზე. რისკ მენეჯმენტის უკუკავშირი შედგება 6 კომპონენტისაგან:

1. ახდენს რისკის იდენტიფიცირებას, თავს უყრის და პრიორიტეტის მიხედვით ალაგებს.
2. ავითარებს პოლიტიკასა და სტრატეგიებს რისკის გასაზომად;
3. ზრდის პროცედურებისა და პოლიტიკის ხარისხს რათა შემსუბუქდეს რისკი;
4. განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს;
5. ამოწმებს რამდენად ეფექტურია და აფასებს შედეგებს;
6. აკორექტირებს პოლიტიკასა და პროცედურებს საჭიროებისამებრ.

რისკ მენეჯმენტი არის ის პროცესი, რომლის განმავლობაში იცვლება შიდა და გარე რისკები. ორგანიზაციის სწორად განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მას გააჩნდეს სწორი კითხვების დასმის უწყვეტი პროცესი. მაგალითად, საკმაოდ წარმატებული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სახელად BRAC ბანგალდეშში და ალექსანდრიის ბიზნეს კავშირი ეგვიპტეში, ბაზარზე საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებენ, რადგანაც გააჩნიათ დროული გაფრთხილების რეჟიმი და პატარა პრობლემებს აღმოფხვრიან მაშინვე. მაგრამ, ასეთი წარმატებული კომპანიებიც კი ძირითადად კონცენტრირებულნი არიან მხოლოდ საკრედიტო


რისკზე, და ავიწყდებათ არანაკლებ მნიშვნელოვანი რისკების არსებობა, როგორიცაა კაპიტალის მენეჯმენტი და ლიკვიდურობა. წარმატებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები თავდაჯერებულნი არიან თავიანთი წარმატებული წარსულის გამო, თუმცა მომავალთან დაკავშირებით გადარჩენისა და ფუნქციონირებისთვის რისკის შემცველი ფაქტორები აუცილებლად უნდა გადაიხედოს. Corporsol/Finansol კრიზისი არის ზედმეტი თავდაჯერებულობის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ხელს უშლის მიკროსაფინანსო კომპანიებს რისკის ეფექტურად მართვაში. მიუხედავად მათი წარმატებებისა, მიკროსაფინანსოები მზად უნდა იყვნენ ყველაზე ცუდი სიტუაციებისთვისაც, როგორც არის მაგალითად, ვარდნა მსოფლიო ეკონომიკაში. MFI-მ უნდა გამოიყენოს ანალიზები, რომ გადაწყვიტოს როგორ დაძლიოს აქამდე გამოუცდელი რისკები.

ამასთანავე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დგებიან დამატებითი გამოწვევების წინაშე, რომლებიც მიკროსაფინანსო ინდუსტრიის დონის განვითარების თვალსაზრისით არის უნიკალური და დროული. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ერთმანეთისგან განსხვავდება, მათ აქვთ საერთო დამატებითი გამოწვევები, რომლებიც შედგებას წრაფი ზრდისა და ექსპანსიისგან, მენეჯმენტის თანმიმდევრობისა და ახალი პროდუქტის განვითარებისგან.

1.2. საქართველოს საკრედიტო ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარებაში ნათლად ჩანს ბანკების რაოდენობის შემცირება, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა კი პირიქით იზრდება. მაგალითად, კომერციული ბანკების რაოდენობა 2000 წელს 30 ერთეულიდან 2019 წლისთვის შემცირდა 15 ერთეულამდე. ამასთან, გაიზარდა მოსახლეობის საბანკო მომსახურების სერვისის მოცულობა, რაზეც ნათლად მიუთითებს კომერციული ბანკების ფილიალების და სერვისცენტრების ზრდა.

კომერციული ბანკების რაოდენობა საქართველოში 2010-2019 წლებში²
 დიაგრამა 1.1.



2016 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა 143 საბანკო ფილიალი და 826 ერთეული სერვისცენტრი, 11 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, 81 მიკროსაფინანსო დაწესებულება, ერთი საფონდო ბირჟა, 14 სადაზღვევო კომპანია და 2 საპენსიო სქემა.³


კომერციული ბანკების ფილიალების რაოდენობა საქართველოში 2010-2019 წლებში

დიაგრამა 1.2.


² www.nbg.gov.ge

³ www.nbg.gov.ge

კომერციული ბანკების ფილიალების რაოდენობა



თანამშრომელთა რაოდენობა



ბანკების შემცირებასთან ერთად შეიცვალა მათი ფინანსური

სტრუქტურაც. 2010 წლის ბოლოს თუ შევადარებთ 2016 წლის შესაბამის პერიოდს, კომერციული ბანკების შემოსავლები გაიზარდა 2,17-ჯერ. შემოსავლების თითქმის 70%-ს სტაბილურად საპროცენტო შემოსავლები შეადგენდნენ, ხოლო არაპროცენტულ შემოსავლებში საკომისიო შემოსავლების და ბანკების მიერ გაწეული შემოსავლების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუ 2010 წელს იგი შეადგენდა არაპროცენტულ შემოსავლების 40%-ს, 2016 წლის ბოლოს იგი უკვე მხოლოდ მისი 30% იყო. საბანკო სფეროს გაფართოებასთან ერთად ბანკებმა შეამცირეს მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, რაც მნიშვნელოვანი პირობაა სესხების მენეჯმენტში .

ბანკების შემცირებასთან ერთად შეიცვალა მათი პორტფელიც. კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე 2017 წლის პირველი იანვრისთვის გაცემული სესხების მოცულობამ მეწარმეობაზე შეადგინა 8 695 424 ათასი ლარი. კომერციული ბანკების მიერ ამავე პერიოდში გაცემული სესხების სტრუქტურაში ეკონომიკის დარგების მიხედვით პირველ ადგილზეა ვაჭრობა 30,8%-ით, მეორე ადგილზეა მრეწველობა 21,5%-ით, შემდეგ მოდის ფინანსური შუამავლობა 8,4%-ით, შემდეგ მოდის ოპერაციები უძრავი ქონებით 7,0%, მეხუთე ადგილზეა მშენებლობა 6,4%-ით, მეექვსე ადგილი უკავია სასტუმროებს და რესტორნებს 6,0%, შემდეგ მოდის სხვა დარგები 5,5%-ით.

კომერციული ბანკების მიერ 2017 წლის 1 იანვრისთვის შინამეურნეობებზე გაცემულ სესხების მოცულობამ შეადგინა 9 405 469 ათასი ლარი. შინამეურნეობებზე გაცემულ სესხებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უკავია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს - 57%, შემდეგ მოდის სამომხმარებლო სესხები - 29%.

კომერციული ბანკების მიერ 2010 -2016 წლებში გაცემული სესხები გაიზარდა 21- ჯერ. მაშინ, როცა მშპ გაიზარდა 3.4-ჯერ. ამდენად, ბანკების მიერ ეკონომიკის დაფინანსების ზრდის ტენდენცია თითქმის 7-ჯერ აღემატებოდა ქვეყნის მშპ-ს ზრდას. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობაში გრძელვადიანი სესხები 5.1-ჯერ აღემატება მოკლევადიანი სესხების მოცულობას.

ვადაგადაცილებულ სესხების წილი წლების განმავლობაში სულ უფრო

მცირდებოდა, მხოლოდ კრიზისულ ვითარებაში, ეკონომიკის დაცემასთან ერთად ეს მაჩვენებელი მცირედით უარესდებოდა, მაგრამ მთლიანობაში მას საფრთხე არ შეუქმნია ბანკების გამათული საქმიანობისათვის. კერძოდ, თუ 2010 წელს ეს მაჩვენებელი საშუალოდ 4-5%-ს შეადგენდა, 2016 წელს იგი 2%-მდე შემცირდა.


2016 წლის მანძილზე საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ზრდის მთავარი მამოძრავებელი იყო სამომხმარებლო, იპოთეკური სესხები და მომენტალური განვადებები. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე სესხების ხარისხის გაუმჯობესება ძირითადად განპირობებული იყო საბანკო სფეროში რისკების მართვისა და საბანკო მენეჯმენტის გაუმჯობესებით.

საქართველოს საბანკო სექტორის ღირებულება 39,682,984,384 ლარის ტოლია, ეს თითქმის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზომაა. საფინანსო სექტორი, დღეს ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და მომგებიანი ნაწილია. წარმოგიდგენთ სტატისტიკას ქართული ბანკების აქტივების ზომის მიხედვით:

- 1) თიბისი ბანკი - მთლიანი აქტივები - 14 მილიარდი ლარი;
- 2) საქართველოს ბანკი - მთლიანი აქტივები - 13.25 მილიარდი ლარი;
- 3) ლიბერთი ბანკი - მთლიანი აქტივები - 1.85 მილიარდი ლარი;
- 4) VTB ბანკი - მთლიანი აქტივები - 1.52 მილიარდი ლარი;
- 5) პროკრედი ტბანკი - მთლიანი აქტივები - 1.40 მილიარდი ლარი;
- 6) ბაზის ბანკი - მთლიანი აქტივები - 1.32 მილიარდი ლარი;
- 7) ქართუ ბანკი - მთლიანი აქტივები - 1.17 მილიარდი ლარი;
- 8) ტერაბანკი - მთლიანი აქტივები - 898 მილიონი ლარი;
- 9) კრედიტბანკი - მთლიანი აქტივები - 790 მილიონი ლარი;**
- 10) ხალიკბანკი საქართველო - მთლიანი აქტივები - 450 მილიონი ლარი;
- 11) პაშაბანკი საქართველო - მთლიანი აქტივები - 316 მილიონი ლარი;
- 12) ფინკა ბანკი - მთლიანი აქტივები - 305 მილიონი ლარი;
- 13) იშბანკის საქართველო - მთლიანი აქტივები - 247 მილიონი ლარი
- 14) ზირათბანკი - მთლიანი აქტივები - 91 მილიონი ლარი;

15) სილქროუდ ბანკი - მთლიანი აქტივები - 71 მილიონი ლარი⁴

კომერციული ბანკების წმინდა აქტივები 2000-2018 წლებში⁵



მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის იურიდიული პირი, იგი შეიძლება დაფუძნდეს, მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა (შ.პ.ს) და სააქციო საზოგადოების (სს) ფორმით. ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ, იძენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსს, როდესაც იგი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებს:

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის მიღება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკში განცხადების შეტანის საფუძველზე, რომელიც ზედამხედველობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას.

მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ არის ორგანიზაცია უფლებამოსილი, თავის საფირმო სახელწოდებას დაუმატოს ტერმინი „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ ან მისი აბრევიატურა „მისო“ და განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა.

⁴ www.nbg.gov.ge

⁵ www.nbg.gov.ge

მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა.

მაგ: შპს-ს უმეტესობა საქმიანობს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის გარეშე, რომლის ფუნქციაც არის ორგანიზაციის საქმიანობის მეთვალყურეობა/კონტროლი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) აწარმოოს გამჭვირვალე ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება და დაიცვას საჯაროობის პრინციპი, მისი ფინანსური მდგომარეობა უნდა იყოს საჯარო, რათა პრობლემა არ შეექმნას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრედიტორებს;

ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს შიდა კონტროლის სისტემა და პროცედურები;

გ) ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ეროვნულ ბანკს. ანგარიშგების ფორმა და წარდგენის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით;

ვ) იყოს პასუხისმგებელი ანგარიშგების უტყუარობაზე, ასევე ინფორმაციის და ანგარიშგების სრულად წარდგენაზე;

ზ) ყოველწლიურად გამოაქვეყნოს ბეჭდვით ორგანოში სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება და გარე აუდიტორული დასკვნა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში არსებული ინფორმაცია მსესხებლის შესახებ შეიძლება მიეცეს მხოლოდ თავად მსესხებელს, მის წარმომადგენლებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემათ მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით ან მსესხებელთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

სასამართლო და საგამომიებო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის საჯარო გამოყენება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, რომლის სახე და ფორმა დამოკიდებულია, სამართალდარღვევის ხასიათზე.

თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შემოწმების შედეგად დაადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააფრთხილოს იგი, დააკისროს ფულადი ჯარიმა ან მიიღოს გადაწყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გაჩნდნენ იქ, სადაც ძალზე სუსტი იყო ტრადიციული საბანკო მოდელი, 2005 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მიკროსაფინანსოები სიღარიბის დაძლევის „კრიტიკულ იარაღად“ გამოაცხადა და დღეს მიკროფინანსებით უკვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ავტორებიც ინტერესდებიან. მიკროფინანსებს შესწევთ იმ „ნაპრალების“ ამოვსების უნარი, რომლებიც ეკონომიკაში ფინანსებზე წვდომის კუთხით არსებობს. როგორ ვითარდება მიკროსაფინანსო სექტორი საქართველოში და მსოფლიოში და რა ინოვაციებს ჰპირდება იგი მომხმარებლებსა და ინვესტორებს?

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი 2006 წელს შეიქმნა, რის შემდეგ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაცია და “მსუბუქი” რეგულირება საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა. მანამდე კი 2003 წელს

სამოქალაქო კოდექსში გაჩნდა “სპეციალიზებული მიკროსაფინანსო ფონდის” ცნება. ის წარმოადგენდა გარდამავალ ფორმას დონორების მიერ დაფინანსებულ სუბსიდირებულ მიკროსაფინანსო პროგრამებსა და კომერციულ მიკროსაფინანსო ინდუსტრიას შორის. მაშასადამე, საქართველოში ყველაზე ძველი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დონორების მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან იღებს სათავეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიკროსაფინანსო საქმიანობა გულისხმობს მცირე მეწარმეებისა და ფერმერების დაკრედიტებას, რომელიც ხორციელდება მათი შემოსავლის ანალიზისა და არა სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების შეფასების საფუძველზე. ამ განსაზღვრების თანახმად, მიკროსაფინანსო ინდუსტრია მოიცავს რამდენიმე მიკროსაფინანსო ინსტიტუტს და კომერციულ ბანკს (ჯამში, სავარაუდოდ, 20 დაწესებულებას), რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (“მისო”) სტატუსის მქონე საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირებული 73-მდე ინსტიტუტიდან უმრავლესობა თავისი შინაარსით სამომხმარებლო ფინანსების კომპანიას წარმოადგენს. მათი საქმიანობა აბსოლუტურად ლეგიტიმურია, მაგრამ გასესხება ეფუძნება არა მომხმარებლის ფინანსების ანალიზს, არამედ მის მიერ სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ნივთის ან ქონების (ძვირფასეულობა, ავტომობილი ან უძრავი ქონება) შეფასებას, ხოლო სახსრები მიემართება არა ბიზნესის დასაფინანსებლად, არამედ ნემისმიერი სამომხმარებლო საჭიროებისათვის. გასესხების აღნიშნულ მოდელში იგნორირებულია მომხმარებლის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, რაც შესაძლოა, ჭარბი საკრედიტო ტვირთის წარმოშობის მიზეზი გახდეს. ამიტომ მცდარია წარმოდგენა, რომ ყველა “მისო” თავისი არსით არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. სასურველია, არსებული სტატუსი შეიცვალოს და მსგავს კომპანიებს დაერქვას საკუთარი სახელი, მაგალითად – “რეგისტრირებული ფინანსური კომპანია” და მათგან მხოლოდ მცირე ნაწილს მიენიჭოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი. იგივე სტატუსი შეიძლება მიენიჭოს კომერციულ ბანკებსა და საკრედიტო კავშირებს, რომლებიც იცავენ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს, ორიენტირებულნი არიან

ბიზნესის დაფინანსებაზე, დაკრედიტების პროცესში კი ეყრდნობიან გადახდისუნარიანობის ანალიზს და არა ქონების შეფასებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით შესაძლებელია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბიზნეს-დაკრედიტებასთან ერთად გასცემდნენ სამომხმარებლო სესხებს ან აწარმოებდნენ სალომბარდო ოპერაციებს, მაგრამ სამომხმარებლო ფინანსების ელემენტი ამ ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო პორტფელის მცირე ნაწილს უნდა შეადგენდეს.

რეგისტრირებულ ფინანსურ კომპანიებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ფინანსურ ლანდშაფტზე და მათი რეგულირება უნდა გაგრძელდეს მინიმუმ არსებული ფორმით. პრობლემურია, რომ დღესდღეობით რეგულირების მიღმა დარჩენილი მრავალი ფინანსური კომპანია, ლომბარდი, ინტერნეტგამსესხებელი თუ კერძო პირი. რეგულირების მიღმა მომუშავე ფინანსური შუამავლების შემთხვევაში თითქმის არ არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტია. ეს კი ქმნის ბაზარზე მტაცებლური დაკრედიტების პრაქტიკის გავრცელების საფრთხეს, რომლის მსხვერპლი გაუთვითცნობიერებელი მომხმარებელი ხდება. დღესდღეობით საქართველოში მომხმარებლების, მასმედიისა და გადაწყვეტილების მიმღებთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ განასხვავებენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ყველა დანარჩენი არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტისგან, ამიტომ ხშირად კრიტიკა ხვდება წილად მათ, ვინც ამას ნამდვილად არ იმსახურებს.


საინტერესოა, რომ წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი დამფინანსებელი მიკროსაფინანსო სექტორი იყო. სეზონური მოწოდებებით, სოფლის მეურნეობისთვის გაცემული სესხებით ბოლო სამი წლის განმავლობაში მისო-ები ლიდერობდნენ. აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ კომერციული ბანკების მეშვეობით დაიწყო იაფი აგროკრედიტის პროგრამის სუბსიდირება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკმაოდ მზარდი სექტორია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორი ქართულ საფინანსო ბაზარზე 2006 წლიდან გამოჩნდა და ის განვითარების საკმაოდ სწრაფი ტემპით ხასიათდება.

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.


2014 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო პორტფელი 852 მლნ ლარს შეადგენდა და 4 წელიწადში ის 38 %-ით გაიზარდა. ეს ტრენდი მიგვანიშნებს, რომ ზოგადად, ფულზე მოთხოვნა საქართველოში საკამოდ მაღალია, რაც ხელს უწყობს მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებას. პარალელურად იზრდება მათი აქტივებიც, რომლის მოცულობამ 2017 წლის მონაცემებით 1,5 მლრდ ლარს გადააჭარბა. მიმდინარე ეტაპზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე წლიური 24-36 %- ის ფარგლებში მერყეობს, ეფექტური კი 45%-ია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მომხმარებელი ფიქსირებულ პროცენტს იხდის და არა კლებადს, როგორც ეს კომერციულ ბანკებშია. მაღალი საპროცენტო განაკვეთი კი სესხის გაპრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამწუხაროდ, მიკროსაფინანსო სექტორის სასესხო პორტფელის ვადაგადაცილების მაჩვენებელზე არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა ცნობილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება. სამწუხაროდ ამ შემთხვევაშიც უცნობია უმეტესი წილი რა სახის ქონებაზე მოდის - უძრავ (ბინა, მიწა, კომერციული ფართი და ა.შ) თუ მოძრავ (ავტომობილი, საოჯახო ნივთები და ა.შ) ქონებაზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები



ყოველწლიური ზრდის ტემპით ხასიათდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში არიან დასაქმებული. 2016 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაა 5287 ადამიანი, რაც 20%-ით აღემატება 2014 წლის მონაცემებს. ბოლო 5 წლის განმავლობაში, მიკროსაფინანსო დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 21%-ით იზრდებოდა. 2016 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო სექტორში დასაქმებულია საფინანსო სექტორში მომუშავეთა 15%.⁶

⁶www.nbg.gov.ge



მიკროსაფინანსო სექტორის ზრდის ასეთი ტენდენცია განპირობებულია იმით, რომ ისინი მოგების მარალ მარჯაზე მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან უმრავლესობამ საქმიანობა უბრალო ლომბარდით დაიწყო. ისინი სესხებზე ძალიან ხისტი პირობებით გამოირჩევიან. მაგალითად, ასეთ ორგანიზაციებთან პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში მოლაპარაკების წარმოება ფაქტობრივად შეუძლებელია, არ აკეთებენ სესხის რესტრუქტურიზაციას და მომხმარებელს არანაირ შეღავათს არ უწესებენ. შედეგად, მომხმარებელს ვადაგადაცილების წარმოშობის შემთხვევაში არანაირი გამოსავალი არ რჩება გარდა იმისა, რომ ქონება ან თავად გაყიდოს, თუ არა და ორგანიზაცია მას სასამართლოს გზით იძულებითი აღსრულების წესით აუქციონზე გაიტანს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები უმრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს გაცემენ ქონების ღირებულების მიხედვით, კერძოდ სესხის მოცულობა განისაზღვრება უზრუნველყოფის ღირებულების მაქსიმუმ 50%-ის ოდენობით, არსებობს ეჭვი, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან ქონების ჩამორთმევით, რის შედეგადაც მათ რჩებათ

ორჯერ მეტი კაპიტალი. შესაბამისად, გასაკვირიც არ არის, რომ ეს სექტორი წლიდან წლამდე ვითარდება და მისი ფინანსური მრგომარეობა უმჯობესდება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მუშაობის ასეთი პრინციპი გამომდინარეობს იქიდან, რომ მათი საქმიანობა არ რეგულირდება არც ეროვნული ბანკის მიერ და არც სხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ. მართალია არსებობს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, თუმცა ეს კანონი განსაზღვრავს ზოგადად საქმიანობას, სამართლებრივ ფორმას და სხვა უმნიშვნელო ფაქტორებს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკრედიტო რესურსს კომეციული ბანკებიდან სესხის სახით იღებენ, რომელიც დაბალ პროცენტში გაიცემა. ამ იაფ ფულად რესურსს ემატება მოგების საკმაოდ მაღალი მარჟა.

საქართველოს კანონმდებლობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ისევე როგორც ბანკებს, თითქმის ყველა ოპერაციის შესრულების უფლება აქვთ, თუმცა მათ არ შეუძლიათ: მიიღონ დეპოზიტები-მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ დეპოზიტის მიღება, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისგან. ამის გამო, ორგანიზაციები იძულებულნი გახდნენ მხოლოდ საკუთარი კაპიტალის და სესხებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ხარჯზე გაეზარდათ სასესხო პორტფელი. თუმცა, ბოლო პერიოდში შედარებით ცნობილმა ორგანიზაციებმა იპოვეს გამოსავალი და დაიწყეს ე.წ. თამასუქების გაცემა, რაც დეპოზიტების წარისახებაა. კანონის მიხედვით, მათ აქვთ უფლება აიღონ სესხები რეზიდენტი და არარეზიდენტი, იურიდიული და ფიზიკური პირებისგან, შესაბამისად, თამასუქები ამ ორგანიზაციებისთვის დეპოზიტის მიღების ერთადერთი კანონიერი გზაა. ამ ეტაპზე თამასუქების საპროცენტო განაკვეთი 9%-დან იწყება და 36%-საც კი აღწევს, რაც თითქმის 3-ჯერ აღემატება კომერციულ ბანკებში დეპოზიტებზე არსებულ განაკვეთებს. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია რისკის ფაქტორი, თუ რამდენად შეძლებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აღებული ვალდებულებების შესრულებას. ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც დეპოზიტზე მაღალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს კლიენტებს,

როგორც წესი ლიკვიდობის პრობლემის წინაშე დგას და ცდილობს მიიზიდოს ფულადი რესურსი, ასეთი ორგანიზაციის სანდოობის ხარისხი კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

როგორც აღინიშნა, ამ ორგანიზაციებში სესხებზე ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთია, რაც პორტფელის ხარისხის გაუარესების მაღალ რისკს ქმნის და საბოლოოდ, მთლიანად ორგანიზაციის ლიკვიდურობაზე აისახება. სწორედ აქ ჩდება ეჭვი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ფულის დაბანდების სანდოობაზე, რომელიც ამ ფაქტორების მიუხედავად, მაინც მზარდია, მიკროსაფინანსო სექტორს სახსრების მოზიდვის რამდენიმე წყარო აქვს, რომელთაგან ყველაზე მნიაშვნელოვანი სამი წყაროა: ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები, კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები და არარეზიდენტი საფინანსო კომპანიებისგან მიღებული სესხები. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არ არის ისეთი მყარი და კაპიტალით უზრუნველყოფილი, როგორც კომერციული ბანკი, როგორც აღვნიშნეთ, ეს სექტორი ეროვნული ბანკის მიერ არ რეგულირდება, ამიტომ მათი ლიკვიდაციის მაღალი რისკი არ რსებობს.

თავი2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების ტენდენციები საქართველოში

2.1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ადგილი და როლი საქართველოს საკრედიტო სისტემაში

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ემსახურებიან მომხმარებელთა დიდ რაოდენობას საქართველოს რეგიონებში, სადაც ნაკლებადაა განვითარებული კომერციული საბანკო ინფრასტრუქტურა. დღესდღეობით დაახლოებით 350 ათასი მსესხებელი იღებს შესაბამისი ხარისხის მომსახურებას, ხოლო მისო-ების ქსელი მოიცავს 450-მდე ფილიალს, რომლებშიც ჯამურად დასაქმებულია 5,200-მდე ადამიანი. წვდომა ფინანსებზე, საკრედიტო დისციპლინა და ფინანსური განათლება არის იმ წვლილის მცირე ნაწილი, რომელიც მიკროსაფინანსო სექტორს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში შეაქვს. სესხების გარდა მისო-ები მომხმარებლებს მიკროდაზღვევას, ფულადი გზავნილების, საგადასახადო და ვალუტის გადაცვლის მომსახურებას სთავაზობს. მიკროსესხების დიდი ნაწილი მიემართება ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისკენ, ამავე დროს საგრძნობია მიკროსესხების გამოყენების სიხშირე ისეთი სამომხმარებლო მიზნებისათვის, როგორიცაა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და განათლებაში ინვესტირება. აქაც მნიშვნელოვანია, დავინახოთ განსხვავება არასასურველ და აუცილებელ სამომხმარებლო დაკრედიტებას შორის. თითქმის შეუძლებელია მიკროსესხების დანიშნულების კონტროლი, რადგან ბიზნესისთვის გაცემული სესხი შესაძლოა ირიბად აფინანსებდეს რაიმე სამომხმარებლო საჭიროებას. მაგალითად, თუ ფერმერი მიიღებს უარს სესხზე შვილის ქორწილისთვის, ის დაუფიქრებლად გაყიდის ძროხას, გადაიხდის ქორწილს და მეორე დღეს წარმატებით მიიღებს სესხს ძროხის შესაძენად. ამიტომ ყველაზე ეფექტური მეთოდი მომხმარებელთა განათლება და ფინანსური დისციპლინის გამომუშავებაა, როცა მომხმარებელს შეუძლია უარი თქვას ისეთი ხარჯების კრედიტით დაფინანსებაზე, რომელთა დაფინანსება შესაძლებელია გარკვეული დროის შემდეგ, დანაზოგის მეშვეობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიკროსაფინანსო ასოციაციამ, საბანკო, სადაზღვევო ასოციაციებთან და საქართველოს საფონდო ბირჟასთან ერთად სამოქალაქო საზოგადოებისა და ექსპერტების მხარდაჭერით დაიწყო ფინანსური განათლების ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს საფინანსო სექტორის როლის ამაღლებას საზოგადოების ფინანსური განათლებისა და ფინანსების მართვის უნარების გაძლიერებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ მოსახლეობისგან დეპოზიტების მოზიდვა. მისო-ები ასევე მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ ეროვნული ბანკის რეფინანსირების აუქციონში, ამიტომ დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენს უცხოური სპეციალიზებული ფონდებიდან მიღებული სასესხო კაპიტალი და საბანკო კრედიტი. საქართველოში აქტიურია 20-მდე საინვესტიციო ფონდი ან კომპანია ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა შვეიცარია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია და ამერიკის შეერთებული შტატები. მიკროსაფინანსო ინდუსტრიის მნიშვნელოვან მხარდამჭერებს შორის არიან ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (EBRD), გერმანული KfW და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC). ბოლო წლებში გაიზარდა აღმოსავლეთ ევროპიდან და ისრაელიდან კერძო ინვესტორების მიერ სექტორის დაფინანსება.

საინტერესო ტენდენცია შეინიშნება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ვახსენეთ, რომ მისო-ებს ეკრძალებათ დეპოზიტების მოზიდვა, მაგრამ მათ შეუძლიათ თამასუქების გამოშვება, რაც დღევანდელ საფინანსო ბაზარზე დეპოზიტებზე არსებული დაბალი განაკვეთების ფონზე მიმზიდველ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისო-ებს არა აქვთ ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსების უფლება. თუ მისო-ს დამფინანსებელთა რაოდენობა გადააჭარბებს დაწესებულ ზღვარს, სებ-ს უჩნდება ჩარევის უფლებამოსილება, რის შედეგად ის ამკაცრებს მისო-ს რეგულირების ჩარჩოს. ბაზარზე ასევე არსებობს ფინანსური კომპანიები, რომლებსაც არანაირი რეგისტრაცია ან ანგარიშგება არ გააჩნიათ ეროვნულ ბანკთან. მათ მიერ დაანონსებული თამასუქის განაკვეთები კი აშკარად აღემატება გონივრულ მოლოდინს. ასეთი კომპანიების შემთხვევაში მომხმარებელი საკმაოდ დაუცველია,

რადგან მარეგულირებელს არ გააჩნია მათი ზედამხედველობის სამართლებრივი საფუძველი. ამიტომ მომხმარებლებმა თავად უნდა შეისწავლონ მსგავსი კომპანიების ფინანსური მდგრალობა და რისკების სათანადო ანალიზის შემდეგ დააბანდონ საკუთარი სახსრები.

მისო-ების ნაწილს მიაჩნია, რომ დეპოზიტების მოზიდვის უფლება მნიშვნელოვანია, რადგან ის დაფინანსების დამატებითი წყაროა და ასევე მნიშვნელოვანია სადეპოზიტო ანგარიშების შეთავაზებით დაბალშემოსავლიან მომხმარებლებში დაზოგვის კულტურის სტიმულირება. მაგრამ ამავე დროს აშკარაა რეგულირების დამატებითი ტვირთი, რომელსაც მისო მიიღებს სებ-ისგან დეპოზიტების მოზიდვის უფლების სანაცვლოდ. ამიტომ ჯერჯერობით დეპოზიტების მიღების უფლება არ ასახულია მიკროსაფინანსო ასოციაციის მიერ მოთხოვნილი საკანონმდებლო ცვლილებების სიაში. ამასობაში კი ორი წამყვანი მისო.

ეროვნული ასოციაციის როლი

საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია აერთიანებს მაღალი სტანდარტების მქონე 17 მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ჯერჯერობით ერთ კომერციულ ბანკს. ასოციაცია სრულად ფინანსდება საწევრო შენატანებით. მის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID). ასოციაციას მართავს მისი წევრებისგან არჩეული გამგეობა. არჩევნები წელიწადში ერთხელ იმართება ყველა წესის დაცვით: საარჩევნო კომისია, კანდიდატები, პროგრამები, საარჩევნო ყუთი და კენჭისყრის “კაბინაც” კი. ასოციაციამ შარშან მიიღო ეთიკის კოდექსი, რომელზეც მისი წევრები თითქმის ერთი წელი მუშაობდნენ. ეთიკის კოდექსში დეკლარირებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სოციალური ზემოქმედების ის პრინციპები, რომელთაც ასოციაციის თითოეული წევრი ეთანხმება და იცავს. ეთიკის კოდექსი “ფარატინა ქალაქიდან” რომ არ დარჩენილიყო, ასოციაციამ შექმნა ეთიკის კომიტეტი, რომელიც იხილავს მომხმარებლებისა და წევრების საჩივრებს, გასცემს რეკომენდაციებს და აწესებს სანქციებს.

ქართული ასოციაციის საქმიანობა მაღალ შეფასებას იმსახურებს გლობალურ ინდუსტრიაში. განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს ასოციაციის როლი ჭარბვალიანობის გაზომვისა და თვითრეგულირების კუთხით.

მიკროსაფინანსო სექტორი განაგრძობს განვითარებას და მრავალ ინოვაციას ჰპირდება როგორც მომხმარებელს, ასევე ქართველ თუ უცხოელ ინვესტორებს. მნიშვნელოვანია, რომ დარგის ლიდერები აცნობიერებენ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მნიშვნელობას და უფრთხილდებიან როგორც სექტორის, ასევე საკუთარ პროფესიულ რეპუტაციას. სწორედ მიკროსაფინანსო სექტორი და მისი მომხმარებლები უნდა გახდნენ ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მთავარი მოსარგებლეები. ინდუსტრიაში ყველა იზიარებს მომავლის ხედვას, რომ დღევანდელი თვითდასაქმებული მეწარმეები და მიკროფერმერები ვიხილოთ მზარდი მცირე და საშუალო ბიზნესის ლიდერებად, რომლებსაც თვისებრივად ახალი ეკონომიკური და დემოკრატიული რეალობის შექმნა შეუძლიათ საქართველოში.

არსებობს ფართოდ გავრცელებული დამკვიდრებული „ექსპერტული მოსაზრება“, რომ მიკროსაფინანსო სექტორის მაღალი საპროცენტო განაკვეთები გამომდინარეობს მოჭარბებული საკრედიტო რისკისა და მასთან დაკავშირებული ხარჯისგან. თუ დავაკვირდებით წამყვანი მიკროსაფინანსო დაწესებულებების საკრედიტო პორტფელის ხარისხს (სტანდარტულად იზომება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხების წილი საერთო სასესხო პორტფელში) ისტორიულ პერსპექტივაში დავინახავთ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ბანკებზე უკეთესი პორტფელი გააჩნიათ. მაშასადამე, საექვო ვალების დარეზერვების ხარჯი მნიშვნელოვანი არაა. მაშინ რატომ არის მიკროსაფინანსო საპროცენტო განაკვეთები საბანკოზე მაღალი? მთავარი მიზეზი - ოპერაციული დანახარჯებია. მისო-ებს უწევთ დიდი რაოდენობის მცირე ზომის სესხების (საშუალოდ საახლოებით 1900 ლარი) ადმინისტრირება ვრცელ გეოგრაფიულ არეალში, რაც თავისთავად შრომატევადი საქმეა. შეგახსენებთ, რომ გასესხების პროცესი მოიცავს კლიენტისა და მისი ბიზნესის სიღრმისეულ შესწავლას, რაც მოითხოვს სესხის ექსპერტის მაღალ კომპეტენციას, სპეციფიკურ უნარებსა და

ტექნოლოგიების გამოყენებას. მაგალითისთვის, თუ 50 მილიონი ლარის პორტფელის მართვას მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ემსახურება დაახლოებით 300 თანამშრომელი, აღნიშნული ზომის საკრედიტო პორტფელი შეიძლება იმართებოდეს რამდენიმე კორპორაციული ბანკირის მიერ. ამიტომაც შეუდარებელია ოპერაციული ხარჯი და მისგან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთი ბანკსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში.

საპროცენტო განაკვეთებში განსხვავების მნიშვნელოვანი მიზეზი ასევე ფინანსური რესურსების ღირებულება წარმოადგენს. კომერციულ ბანკებს ხელი მიუწვდებათ ეკონომიკაში ყველაზე იაფ საკრედიტო რესურსზე, მაშინ როცა მიკროსაფინანსოები ნაწილობრივ თავად კომერციულ ბანკებიდან ფინანსდებიან. გაუთავებელი მსჯელობა მაღალ საპროცენტო განაკვეთებზე არ ეფუძნება ფაქტების ანალიზს და, როგორც წესი, ემოციური ან იდეოლოგიური მსჯელობის ფორმას ატარებს. მაგალითად, იშვიათად იღებენ მხედველობაში მცირე სესხების ბაზარზე გავრცელებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომელთა მიმწოდებლებად, მისო-ების გარდა, ბანკები და არაფორმალური გამსესხებლები გვევლინებიან. ამ შემთხვევაში კონკურენცია მკაცრად აყალიბებს ფასებს და მისო-ები საშუალოზე დაბალი ფასით გამოირჩევიან. შეცდომით მისო-ს სესხს ადარებენ იპოთეკით უზრუნველყოფილ საბანკო სესხსაც, ან ისიც კი მომხდარა ქართულ მედიასივრცეში, რომ მისო-ების საშუალო განაკვეთები შეადარეს ევროპის ცენტრალური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთებს, რაც საშუალოდ მილიონი ევროს მოცულობის სესხებისთვის ბანკებში არსებულ საშუალო განაკვეთს ასახავს. რა თქმა უნდა, არ არის მართებული შევადაროთ ათასი ევროს მოცულობის სოფლად გაცემული სესხის საშუალო საპროცენტო განაკვეთი საქართველოში, მაგალითად, მილიონი ევროს სესხის განაკვეთს ფინეთში. მაგრამ იშვიათად ხდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების 25-35%-იანი განაკვეთების შედარება 700%-იან ინტერნეტსესხების საპროცენტო განაკვეთებთან. დღესდღეობით მრავალი მომხმარებელი ვერც კი წარმოიდგენს, რომ აღნიშნული მცირე სესხებზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამდენად მაღალი შეიძლება იყოს.

თუ გვსურს მართლაც სიღრმისეულად გავიგოთ საპროცენტო განაკვეთების ადეკვატურობა, უნდა გავანალიზოთ, თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის სასესხო პროდუქტი მომხმარებლის ფინანსურ პოზიციაზე. აქ აღსანიშნავია ორი პარამეტრი: ლიკვიდურობა - რა გავლენას ახდენს სესხის გასტუმრება მომხმარებლის ფინანსურ ნაკადებზე, ანუ რა ძალისხმევის ხარჯზე უმკლავდება მომხმარებელი სესხის მომსახურებას, და მეორე - საპროცენტო განაკვეთის ხარჯი: რა წილი უჭირავს საპროცენტო ხარჯს მომხმარებლის ბიზნესის საერთო ხარჯებში, ანუ რამდენად ამცირებს პროცენტი ბიზნესის წმინდა მოგებას ან მომხმარებლის შემოსავალს. თუ ბიზნესი მაღალმარჟიანია, ერთი შეხედვით მაღალი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა უმნიშვნელო ხარჯს წარმოადგენს, მაშინ როცა სესხის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ბიზნესის ციკლის განხორციელება. ამიტომ დროა, საპროცენტო განაკვეთებზე მსჯელობა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდეს.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია აქცენტების გადატანა საპროცენტო განაკვეთებიდან ჭარბვალიანობის პრობლემის ანალიზზე. სხვა ქვეყნების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ბაზარი ხშირად უძლურია აღკვეთოს ჭარბვალიანობა და მისგან გამომდინარე საკრედიტო კრიზისი.

საქართველოს ახლო პერსპექტივაში არ ემუქრება აშშ-ისა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის იპოთეკური კრიზისით გამოწვეული ფინანსური პრობლემების მსგავსი სირთულეები, რადგან ჩვენი იპოთეკური დაკრედიტების სექტორი ჯერ კიდევ განვითარების უმნიშვნელო დონით ხასიათდება, ხოლო ეკონომიკის ფინანსური სიღრმე (ჯამური კრედიტი მშპ-სთან შედარებით) საკმაოდ დაბალია. უფრო საშიშია ბოსნია-ჰერცეგოვინას საკრედიტო კრიზისის ტიპის სცენარი. მისი დამახასიათებელი ნიშანია პარალელური სესხების მოჭარბება, როცა მსესხებლები დაღმავალი ეკონომიკური ციკლის შედეგად მიღებული ზარალის გამო არსებული სესხის მომსახურებას ვერ ახერხებენ და ამიტომ უფრო დიდი სესხისთვის სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს მიმართავენ. კრიზისი იწყება მაშინ, როცა საკრედიტო დაწესებულებები წყვეტენ ამ “პირამიდის” დაფინანსებას. სამწუხაროდ, თავისუფალი ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ზრდის ტემპის შენელებას ფინანსურ ინსტიტუტებში, რადგან მონაწილეები ბაზრის წილისა და მოგების მაქსიმიზაციაში

არიან ჩართული. საქართველოში ორად არის გაყოფილი აზრი იმის თაობაზე, თუ რამდენად ახლოა ფინანსური კრიზისი. ამის მიზეზი სანდო ეკონომიკური კვლევის არარსებობაა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შევადაროთ ჩვენი და სხვა ქვეყნების ფინანსური ბაზრის პარამეტრები. ასეთი კვლევა ითვალისწინებს ჭარბვალუანობის მრავალმხრივ შეფასებას და კრიტიკული ინდიკატორების მონიტორინგს.

მსგავსი კვლევის ჩატარებას გეგმავს საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია საქართველოს ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით. კვლევის ჩატარებამდე ადრეა ვიმსჯელოთ, არსებობს თუ არა საქართველოში ჭარბვალუანობის გამო საკრედიტო კრიზისის საფრთხე. ერთმნიშვნელოვნად ასევე რთული სათქმელია, თუ ვისგან მოდის დაკრედიტების აგრესიული ტალღა – მისო-ების, ბანკებისა თუ რეგულირების მიღმა მოქმედი ინსტიტუტებისაგან. აქაც საქმე გვაქვს დამკვიდრებულ სტერეოტიპთან, თითქოს ჭარბვალუანობის მთავარი მიზეზი სწრაფად მზარდი მიკროსაფინანსო სექტორისგან მომდინარეობს. ცოტა არ იყოს პარადოქსია ბაზრის “გაფუჭება” დავაბრალოთ ბანკებთან შედარებით აქტივების ზომით 15-ჯერ მცირე სექტორს, თანაც კონკრეტული ეკონომიკური ანალიზისა და ფაქტებზე დაფუძნებული მსჯელობის გარეშე.

სხვა ქვეყნების გამოცდილება კი საპირისპიროზე მეტყველებს: კომერციული ბანკები, რომლებსაც უმცირდებათ მოგება კორპორაციული ბიზნესიდან, აღმოაჩენენ რა შედარებით მაღალ მარჟებს მიკროსაფინანსო ბაზარზე, თავიანთი უზარმაზარი რესურსებით ავანტიურისტულად შედიან აღნიშნულ სეგმენტზე (პროცესს უწოდებენ downsizing-ს). სწორედ ბანკების აგრესიული ზრდა მიკროსაფინანსო ბაზარზე იქცევა ჭარბვალუანობის მიზეზად. ამიტომ მხოლოდ დამოუკიდებელი და გამართულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული კვლევა მოგვცემს იმის თქმის საშუალებას, თუ რა მდგომარეობა გვაქვს საქართველოში ჭარბვალუანობის კუთხით.

ხშირად ჩნდება კითხვა, რა არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმატების მიზეზი, რატომ გახდა სწრაფი ასეთი პოპულარული?

რეალურად, მათ წარმატებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კი სესხის აღების გამარტივებული გზაა.

ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს გაუთვალისწინებელი სიტუაცია, რომელიც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა კი თანხის დღის ნებისმიერ მონაკვეთში, სწრაფად და მარტივად მიღებაა, რაც ამგვარი სიტუაციების სამართავად ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანი ასეთ შემთხვევაში ზოგავს დროს, რადგან სესხის მიღება სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტით არის შესაძლებელი და თანხის დარიცხვას მომხმარებლის ანგარიშზე 15-დან 30 წუთამდე სჭირდება. ვიცით, ბანკები სესხებთან მიმართებაში ძალიან მომთხოვნები არიან. მიკროსაფინანსოების უპირატესობა ამ მხრივ ის არის, რომ ისინი ყოველგვარი თავდებისა და გირაოს გარეშე, პერსონალური მონაცემების და თვითური შემოსავლის საფუძველზე გასცემენ სესხს.

ამისათვის საჭიროა შეარჩიოთ სასურველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, შეხვიდეთ მათ ვებგვერდზე, დარეგისტრირდეთ, შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა და შევსებიდან რამდენიმე წუთში თანხა თქვენს საკუთარ ანგარიშზე აისახება.

რაც შეეხება ვებგვერდის მოხმარებას, იგი მაქსიმალურად მარტივი, პრაქტიკული და გასაგებია ყველა მომხმარებლისთვის.

მიკროსაფინანსოების წარმატებისა და პოპულარობის გარანტად, ასევე, შეიძლება ჩაითვალოს პირველადი უპროცენტო სესხი, რომელსაც თითქმის ყველა მიკროსაფინანსო სთავაზობს მომხმარებელს. როდესაც ადამიანი პირველად სარგებლობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მომსახურებით, ის თავად წინასწარ შერჩეულ ვადაში, აბრუნებს იმავე თანხას, რაც გამოიტანა. ხოლო ყოველ მეორე და მომდევნო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი სესხის ხანგრძლივობის მიხედვით წესდება – რაც უფრო გრძელვადიანია სესხი, მით უფრო დაბალია საპროცენტო განაკვეთი.

როგორც საბანკო მომსახურების დროს, მიკროკრედიტით სარგებლობისას მომხმარებლის საკრედიტო ისტორიაში აისახება ინფორმაცია მის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ. ზოგ შემთხვევაში,

როდესაც ადამიანი ვერ ახერხებს სესხის დაბრუნებას მოცემულ ვადებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნია კიდევ ერთი, მომხმარებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ხერხი, რათა საკრედიტო ისტორიის გაუარესების გარეშე დაფარონ სესხი მათთვის სასურველ და მოსახერხებელ ვადებში.

კერძოდ, მიკროსაფინანსო სთავაზობს მათ გადავადების სერვისს, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს შეუძლია თანხის დაბრუნების ვადები, მცირე თანხის საფასურად, გაზარდოს სასურველი დროით. მაგალითად, ერთი-ორი კვირით, ერთი თვით ან უფრო მეტი დროით, რაც შეიძლება ითქვას, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმატების კიდევ ერთი მიზეზია.

ინვესტორებისთვის მისაღები საერთაშორისო აუდიტორული და სარეიტინგო კომპანიების შერჩევაში აქტიური მონაწილეობის მიღება, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის იყოს მინიმალური. სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობა მცირე ბიზნესისათვის გამოყოფილი კრედიტების მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მეშვეობით გაცემის უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება, რომლებიც დაინტერესებულები არიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებით და გაუწევენ მათ დახმარებას.

წარმოგიდგენთ ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, „კრედო“-ს, ინფორმაციას. საბჭოთა კავშირის ნგრევას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, 1991 წელს სამოქალაქო ომი მოჰყვა. კონფლიქტმა ეკონომიკის ტოტალური კოლაფსი და ესკალაციის რეგიონებში 300,000-ზე მეტი ლტოლვილის გადაადგილება გამოიწვია.

1997 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია ვოლდ ვიჟენმა მცირე ბიზნესის განვითარებისა და დახმარების პროექტი წამოიწყო, რომლის მიზანი იყო მეწარმეობრივად უმწეოთა და მცირე ბიზნესებისთვის მდგრადი ფინანსური სერვისით უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და ღარიბთათვის დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველყოფი ბიზნესების უპირატესობით.

2002 წელი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა, რადგან კანადის განვითარებისა და დახმარების სააგენტოს მეშვეობით პროგრამა რეგიონების მასშტაბით გაფართოვდა და გაიხსნა შემდეგი ფილიალები: ქუთაისში, ბათუმში, ბორჯომსა და ახალციხეში.

2005 წელს ორგანიზაცია დარეგისტრირდა, როგორც ადგილობრივი, დამოუკიდებელი, სამართლებრივი ერთეული, ვიჟენფანდ კრედო ფონდის სახით. კანონში ცვლილებამ შესაძლებლობა მისცა ორგანიზაციას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კვალიფიკაცია მოეპოვებინა. კრედოს ერთპიროვნული დამფუძნებელი არის ვიჟენფანდ ინთერნეიშენალი, რომელიც წარმოადგენს კალიფორნიაში დაფუძნებულ მიკროსაფინანსო კორპორაციას, რომლის დაახლოებით 300 მილიონი ა.შ.შ დოლარიანი პორტფელი 47 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაშია ინვესტირებული. საწყისი ეტაპი გახდა ფონდი კრედოსი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, როგორც უორლდ ვიჟენ ინთერნეიშენალის მიკროსაფინანსო პროგრამის სამართლებრივი გაგრძელება.

კანონში მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა შესახებ ცვლილებასთან დაკავშირებით, არასამეწარმეო, არაკომერციული ორგანიზაცია ვიჟენფანდ კრედომ 2007 წლის დეკემბერში დააფუძნა ახალი ორგანიზაცია, რომლის სახელწოდებაა შ.პ.ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო. იგი ლიცენზირებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, შესაბამისად ვიჟენფანდ კრედომ შ.პ.ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედოს გადასცა ყველა ვალდებულება, მათ შორის გაცემული სესხების მოთხოვნის უფლება.

2008 წელი კრედოსათვის წარმატებული აღმოჩნდა. ეკონომიკური სტაგნაციის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლის მოტივაცია, ზრდის სურვილი და ცვალებად დროზე მორგება, დადებითად აისახა ორგანიზაციის ზრდის მაჩვენებელზე. 100 პროცენტით გაიზარდა, როგორც კლიენტების რაოდენობა, ასევე - საკრედიტო პორტფელი.

2009 წელი აღსანიშნავია, როგორც ინოვაციური პროექტებისა და ორგანიზაციის სტაბილურობის შენარჩუნების წელი. ინოვაციურ პროექტებში

შედის: კრედოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება, გადახდების ახალი სისტემა მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სოციალური აუდიტი და სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა. კახეთის რეგიონში გაიხსნა ახალი ფილიალები. მიუხედავად ეკონომიკური რეცესიის გაუარესებისა, კრედომ მოახერხა 2009 წლის 31 დეკემბრისთვის 19,990,519 ა.შ.შ. დოლარი პორტფელის რისკის 0,92 პროცენტზე შენარჩუნება და მომხმარებელთა რაოდენობის სწრაფი ზრდა, რომელთა რიცხვმაც 22,892 მიაღწია. სოციალური მიზნების შესრულებისთვის კრედომ ვერცხლის კატეგორიის ჯილდო მიქს მარკეტისგან მიიღო.⁷

2010 წელს კრედომ საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის ლიდერის პოზიცია მოიპოვა 43,172 მსესხებლის მომსახურებითა და 0.02 პროცენტით რისკით 33,960,677 ა.შ.შ. დოლარის პორტფელზე. კრედო გაფართოვდა გეოგრაფიულად და გახსნა ორი ახალი ფილიალი აგრარული პოზიციონირებით. სოციალური მისიის შესრულებაში მნიშვნელოვან მიღწევას კვლევის საფუძველზე სიღარიბის შეფასების ინსტრუმენტის-სიღარიბის ბარათების შექმნა წარმოადგენს. სიღარიბის ბარათების მეშვეობით უკეთ მოხდება ფოკუსირება სამიზნე სეგმენტზე, კრედოს გავლენის შეფასება მსესხებლებზე და მოქნილი, მოხერხებული და გონივრული პროდუქტების შეთავაზება.

2011 წელს კრედომ შეინარჩუნა ლიდერი და ინოვაციური ორგანიზაციის სტატუსი ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე. წლის ბოლოს აქტიურ მსესხებელთა რაოდენობა 64,526 ადამიანს შეადგენდა, საკრედიტო პორტფელი - 54,666 463 ა.შ.შ. დოლარს, ხოლო რისკი - 0.01 პროცენტს. ორგანიზაციის აგრარული პოზიციონირება ექვსი ახალი და ორი არსებული ფილიალის გახსნა-გაფართოვებით გამყარდა. კრედომ მსესხებლებს შესთავაზა განვადება პლასტიკური ბარათით, დაამონტაჟა გადახდის აპარატები ყველა ფილიალში და საკუთარი ტერმინალები საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიებში. ორგანიზაციის სოციალური მისიის განხორციელებისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს წარმოადგენს

⁷ ინფორმაცია მიღებულია კრედო-ს მონაცემების დამუშავების საფუძველზე

რიგი სოციალური ღონისძიებების დაფინანსება და გონივრული ფინანსირების საგანმანათლებლო კამპანია.

2012 წელი ისეთი პროექტების შეთავაზებებით გამოირჩეოდა, როგორიცაა კომპანია კივასა და კრედოს სესხები დამწყები ბიზნესებისთვის, განვადება პლასტიკური ბარათით სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისთვის - მოსავლის ბარათი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სესხზე განაცხადის შევსება მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით. წლის ბოლოს აქტიურ მსესხებელთა რაოდენობა 95,464 ადამიანს შეადგენდა, საკრედიტო პორტფელი 96,456,398 ა.შ.შ დოლარს. კრედომ სასოფლო სამეურნეო პოზიციონირების მქონე რვა ახალი და ორი არსებული ფილიალი გახსნა-გააფართოვა. კრედომ მიკროფინანს ცენტრისა და სმარტ კამპანიისგან საუკეთესო პრაქტიკის ჯილდო მსესხებელთა ზედმეტი ვალდებულებებისგან დაცვის სფეროში მიიღო, დანერგა მსესხებელთა სოციალური მდგომარეობის შეფასების ბარათი და მრავალი მასშტაბური საზოგადოებრივ - სოციალური პროექტი განახორციელა.

2013 წელი გეოგრაფიული არეალის გაფართოვებით გამოირჩეოდა. კრედომ გახსნა ათი ახალი ფილიალი. 2013 წელი დაიხურა 139,428 აქტიური მომხმარებლით და 132,587,732 ა.შ.შ დოლარის ოდენობის პორტფელით. შეიქმნა ახალი პროდუქტი NEO სესხები, რომელიც ხელმისაწვდომია მიკრო და მცირე ბიზნესში დასაქმებულთათვის. კრედოს თანაშემრომელთა რაოდენობა გაიზარდა 315 საშტატო უვადო თანაშემრომლით. დაარსდა კრედოს პირველი ზაფხულის აკადემია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გარემოს დაცვისა და სოციალურ პროექტებს. სოციალური პროექტების ფარგლებში კრედომ 1,748 ადამიანს გაუწია სხვადასხვა ტიპის დახმარება.

2014 წელი - კრედოს ახალი მფლობელები ჰყავს. კრედო სოციალური გავლენის ინვესტორთა კონსორციუმმა შეიძინა. კონსორციუმი Access Microfinance Holding AG (Access Holding), responsAbility Investments AG (responsAbility) და Triodos Investment Management BV (Triodos)-გან შედგება.

2015 წელი - 177 მილიონი დოლარის პორტფელითა და 197 ათასი აქტიური მომხმარებლებით დახურა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 9 ახალი

ფილიალი გახსნა და ფილიალების საერთო რაოდენობამ 59 შეადგინა. გაიხსნა 33 ახალი სალარო კრედოს სხვადასხვა ფილიალებში. მომხმარებლებს საშუალება მიეცათ ისარგებლონ გზავნილებითა და სავალუტო ოპერაციებით. საბოლოო ჯამში, 2015 წლის ბოლო მონაცემებით კრედოს ბაზრის წილი აქტიური კლიენტების რაოდენობის თვალსაზრისით 51 პროცენტი შეადგინა, ხოლო ბაზრის წილი პორტფელის მოცულობის მიხედვით 2 პროცენტით გაიზარდა. 2017 წლის 20 მარტს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, სს "კრედო ბანკზე" საბანკო საქმიანობის ლიცენზია გასცა.

საწყის ეტაპზე ბანკი მომხმარებლებს სასესხო პროდუქტებზე გაზრდილ ლიმიტებს შესთავაზებს, ხოლო ეტაპობრივად იგეგმება მრავალფეროვანი საბანკო-საფინანსო მომსახურების განვითარება, საცალო საბანკო პროდუქტების ჩათვლით. გაფართოვდება ფილიალების ქსელიც.

კრედო სოციალური გავლენის ინვესტორთა კონსორციუმმა შეიძინა. კონსორციუმი Access Microfinance Holding AG (Access Holding), responsAbility Investments AG (responsibility) და Triodos Investment Management BV (Triodos)-გან შედგება.

AccessHolding დაარსდა 2006 წელს სოლიდური რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფის მიერ, სახელმწიფო და კერძო სექტორებიდან. AccessHolding-ის ქსელში შედის ცხრა ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, მათ შორის აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში. AccessBanks-ის საქმიანობა ფოკუსირებულია ისეთ მიზნობრივ ჯგუფზე, როგორიცაა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობა. AccessBank -ის ქსელში დასაქმებულია 7000-ზე მეტი ადამიანი. მის მართვაშია 1.4 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი სასესხო პორტფელი და მომხმარებლების 0.6 მილიარდ აშშ დოლარამდე დეპოზიტები.


responsAbility Investments AG წარმოადგენს აქტივების მართვის დარგში მსოფლიოს წამყვანი დამოუკიდებელი მენეჯმენტის ჯგუფს, რომელთა სპეციალიზაციის სფეროა განვითარებადი ეკონომიკის სექტორების ხელშეწყობა. მათი საქმიანობა მოიცავს ისეთ დარგებს, როგორებიცაა ფინანსები, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ჯანდაცვა და განათლება. responsAbility უზრუნველყოფს

ბირჟაზე დაურეგისტრირებული ისეთი კომპანიების ფინანსირებას, რომელთა ბიზნესმოდელი მოსახლეობის დაბალშემოსავლიან კატეგორიაზე ორიენტირებული, რითაც სტიმულირდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და სოციალური განვითარება.


2003 წელს დაარსებული responsAbility, ამჟამად მართავს 2.2 მილიარდ აშშ დოლარის აქტივებს, რომლებიც 90 ქვეყნის 500 კომპანიაშია ინვესტირებული. responsAbility-ის სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ ციურხში, ხოლო მისი რეგიონალური წარმომადგენლობები - პარიზში, ლიმაში, მუმბაისა და ნაირობიში. მისი აქციონერები არიან შვეიცარიის ფინანსურ ბაზარზე მოქმედი, საიმედო რეპუტაციის მქონე მრავალი ორგანიზაცია და ასევე, საკუთარი თანამშრომლები. responsAbility რეგისტრირებულია შვეიცარიის ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის ორგანოში (FINMA).

Triodos Investment Management არის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ბანკის, Triodos Bank-ის საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია. Triodos Investment Management არის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული კომპანია, რომლის საქმიანობის სფეროებია ინვესტიციების და საინვესტიციო ფონდების მართვა ისეთ დარგებში, როგორიცაა განახლებადი ენერგეტიკა, მდგრადი უძრავი ქონება და განვითარებადი ბაზრების დონორული ფინანსირება. 2013 ბოლოსთვის კომპანიის კომბინირებული აქტივები 2,5 მილიარდ ევროს შეადგენს. 1994 წლიდან, დონორულ ფინანსირებაში ჩადებულმა აქტივებმა 550 მლნ ევროს გადააჭარბა, ეს მაჩვენებელი მას ინდუსტრიაში უმსხვილეს ინვესტორად ხდის. სპეციალიზირებული ფონდების მეშვეობით, Triodos Investment Management უზრუნველყოფს ფინანსირებას 44 ქვეყნის 112-მდე დამწყებ და ფუნქციონირებად საფინანსო ორგანიზაციებისთვის. კომპანია არის 22 საფინანსო ორგანიზაციის აქციების მფლობელი. კომპანიის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედის Triodos Bank-ის უმაღლესი მენეჯმენტი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ორგანიზაციების მართვის პროცესში.

მომხმარებელთა რაოდენობა წლების მიხედვით



პორტფელი




მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკმაოდ მზარდი სექტორია. ერთი მხრივ კარგია ბიზნესის განვითარება, მაგრამ მეორე მხრივ იგი გარკვეულ რისკებს შეიცავს, რადგან საქართველოს მოსახლეობას ფინანსური განათლების არასათანადო დონე გააჩნიათ. ამ სექტორის მომხმარებლები ძირითადად ის კონტინგენტია, რომლებმაც კომერციულ ბანკში სესხი ვერ აიღეს, ასეთი მომხმარებლები ვერ ათვისებენ სესხის მიზნობრიობას და მნიშვნელობას, რის გამოც მაღალია შესაძლებლობა იმისა, რომ სესხები გაპრობლემდეს, რამაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს უზრუნველყოფაში დატვირთული უძრავი თუ მოძრავი ქონების იძულებითი გზით რეალიზაცია.


სს „კრედიო ბანკი“ ამ რეგულაციებსაც წარმატებით მოერგო და შეუფერხებლად განაგრძო საქმიანობა. სიახლეების შესაბამისად ჩამოყალიბდა ახალი პროცედურები, ცვლილებები შევიდა სესხის დამტკიცების, გაცემის პოლიტიკაში.

კრედიომ განვადების კლიენტებს სთავაზობს დამტკიცების შემდგომი ვიზიტს სამუშაო ან ბიზნეს საქმიანობის ადგილას, რომლითაც დასტურდება კლიენტის შემოსავლები. ის ერთადერთი აღმოჩნდა, რომელიც არ ითხოვს მხოლოდ სახელფასო ამონაწერს, ასევე, ითვალისწინებს კლიენტის არაოფიციალურ შემოსავლებს (მაგ. მიძა, ტაქსი და ა.შ.). შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდა მომხმარებელთა რაოდენობა, როგორც განვადებაზე, ისე სხვა პროდუქტებზე.

სს „კრედიო ბანკი“-ს პორტფელი წლების ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება:⁸

⁸ ინფორმაცია მიღებულია კრედიო-ს მონაცემების დამუშავების საფუძველზე





	2018				2019
	I	II	III	IV	I
მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	11 574 820,00	10 341 339,00	13 391 337,00	14 899 272,00	10 810 671,00
ვადიანი დეპოზიტები	500,00	170,00	4 082 741,00	11 690 672,00	16 644 243,00

2.2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ პირველად 2006 წელს მიიღეს. მისი მიზანი იყო და არის საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი მოწესრიგება და მათი განვითარებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნა. კანონში განმარტებულია რამდენიმე ტერმინი, როგორიცაა მიკროლიზინგი, რეგისტრაცია და მნიშვნელოვანი წილი.

ა) მიკროლიზინგი – ლიზინგი, რომლის ღირებულება განისაზღვრება მიკროკრედიტის დადგენილი ზღვრით;

ბ) რეგისტრაცია – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირის ნებაყოფლობითი რეგისტრაცია საქართველოს ეროვნულ ბანკში;

გ) მნიშვნელოვანი წილი – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის განცხადებული ან შევსებული კაპიტალის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი წილი, რომელსაც პირი ფლობს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით.

კანონში ასევე განსაზღვრულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.

კანონი ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ავალდებულებს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნას, რომლის მიმართაც გამოყენებული უნდა იქნეს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შემოწმების შედეგად დაადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააფრთხილოს იგი, დააკისროს ფულადი ჯარიმა ან მიიღოს გადაწყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით. კანონი ასევე განსაზღვრავს მიკროსაფინანსო საქმიანობას.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა:

ა) იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის,

სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა; ამ მიზნით საკრედიტო საგადახდო ბარათის გამოშვება;

ბ) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქაღალდებში;

გ) ფულადი გზავნილები სგანხორციელება;

დ) სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება;

ე) მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

ვ) სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არა რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;

ზ) იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს;

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები: მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და ამ ფინანსურ მომსახურებებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, რეგისტრაციის შემდეგ, რომლის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

მიკრო საფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება დეპოზიტების მიღება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა 2006 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით განსაზღვრა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი. ეს წესი განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (შემდგომში – მისო) საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის

წესსა და პირობებს. ამ წესის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ. საქართველოს ეროვნული ბანკი რეგისტრაციაში გაატარებს მხოლოდ საქართველოს საგადასახადო სამსახურის მიერ დარეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირებს, რომელთა ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის სახეობა და საფირმო სახელწოდება შეესაბამება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონებით და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისათვის აუცილებელი პირობებია:

ა) ფულადი სახით განაღდებული საწესდებო კაპიტალი იყოს არანაკლებ 250000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ბ) დირექტორი (დირექტორთა საბჭოს წევრი) უნდა აკმაყოფილებდეს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ კრიტერიუმებს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს რეგისტრაციის თაობაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაცია ხდება ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებისა და დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე. განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) საფირმო სახელწოდებას;

ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;

გ) ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);ე) ფულადი ფორმით განაღდებული საწესდებო კაპიტალის ოდენობას. განცხადებას თან უნდა ერთვის:

1. საგადასახადი ორგანოში რეგისტრირებული წესდებისა და სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტების დედნები ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლები;

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალის სრული ოდენობით შევსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

3. დოკუმენტები სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, მისი თავმჯდომარის არჩევისა და დირექტორების დანიშვნის თაობაზე;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა დირექტორთა ნასამართლობის არქონის შესახებ;

5. დირექტორების ხელწერილი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის თაობაზე;

6. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის, ან საკუთრების უფლებას, სადაც განთავსებული იქნება მისო.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკი არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და გამოცემს ადმინისტრაციულ აქტს რეგისტრაციის ან მასზე უარის თაობაზე. ადმინისტრაციული აქტის ერთი პირი ეგზავნება განმცხადებელს. რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციულ აქტში აღინიშნება: მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეესტრს, რომელშიც შეიტანება მონაცემები ორგანიზაციის საფირმო სახელწოდების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის), ფულადი ფორმით განაღდებული საწესდებო კაპიტალის თაობაზე, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების სახელი და გვარი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დასახელების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, იურიდიული მისამართის, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ცვლილებების

შემთხვევაში, მისო ვალდებულია ამ ცვლილების განხორციელებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს ეროვნულ ბანკს. ეროვნული ბანკი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში სათანადო ცვლილებები შეიტანოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეესტრში.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის თაობაზე გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში ცვლილებების შესატანად გამოიცემა საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკი გამოცემს ადმინისტრაციულ აქტს, რომელშიც უნდა მიეთითოს რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი და საფუძველი. მათ შორის:

ა) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წერილობითი განცხადება რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად დეპოზიტების მიღება იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;

გ) საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილ საბუთებში აღმოჩენილი სიყალბე;

დ) თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ იგი არღვევს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

ე) საგადასახადო ორგანოს შეტყობინება სამეწარმეო რეესტრიდან მისი ამოღების თაობაზე;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ზედიზედ ორჯერ ფინანსური ანგარიშგების წარუდგენლობა.

ეროვნული ბანკი აწარმოებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციას, რა დროსაც გარკვეულ სტანდარტებს უწესებს კანდიდატ კომპანიებს, მათ დამფუძნებლებსა და დირექტორებს. მისო-ები სებ-ს რეგულარულად აბარებენ ანგარიშს, ხოლო ცენტრალური ბანკის საზედამხედველო ჩარჩო მიმართულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის, უკანონო შემოსავლების

ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისკენ. ეროვნული ბანკი არ ახდენს მისო-ების სიღრმისეულ რეგულირებას, რასაც ადგილი აქვს კომერციული ბანკების შემთხვევაში. აღნიშნული ნაკარნახევია საჯარო ინტერესით, რათა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დეპოზიტები ფინანსურად ჯანსაღ ინსტიტუტებში იყოს განთავსებული. ამიტომაც, ბანკებისგან განსხვავებით, მისო-ებს ეკრძალებათ მოსახლეობისგან დეპოზიტების მოზიდვა. მიკროსაფინანსო სექტორის პრაქტიკოსების მოსაზრებით, სებ-ი მიკროსაფინანსო ინდუსტრიას უფრო სერიოზულად აღიქვამს, რისი დასტურიც არის გახშირებული და მოწესრიგებული კომუნიკაცია დარგის ასოციაციასთან და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით დაანონსებული რეფორმები. ასევე აღსანიშნავია სებ-ის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მიკროსაფინანსო ასოციაციის წლევანდელი ერთობლივი ინიციატივა, რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სტუდენტების სტაჟირებას.

მისო-ები მნიშვნელოვან ფინანსურ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ფერმერებისათვის. ეტაპობრივად ხდება იმის აღიარება, რომ აქტივების ზომით, მსესხებელთა რაოდენობით, რისკების მართვისა და გასესხების სტანდარტებით წამყვანი მისო-ები არა თუ ჩამორჩებიან, არამედ უსწრებენ კიდევ მცირე ზომის კომერციულ ბანკებს.

მთავარი ნიშნები და კრიტერიუმები, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციას საბანკო დაწესებულებისგან განასხვავებებს არის დეპოზიტების იმლების უფლება და ერთ მსესხებელზე გაცემული სესხის დაშვებული ლიმიტი. მოქმედი კანონმდებლობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება დეპოზიტების იღება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისგან, ხოლო მის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შექმნა შეუძლია ნებისმიერ პირს ან პირთ ჯგუფს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეგისტრაციის წესის მიხედვით. მისო-ს რეგისტრაციისთვის აუცილებელია 2 მთავარი პირობა, პირველი - ფულადი

სახით განადღებული საწესდებო კაპიტალი არანაკლებ 250 000 ლარი და მეორე, დირექტორი უნდა აკმაყოფილებდეს “მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს, კერძოდ, იგი პარალელურად არ უნდა იყოს რომელიმე კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების - საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პარტნიორი, საეთვალყურეო ან/და დირექტორთა საბჭოს წევრი; წარსულში ჩადენილი არ უნდა ჰქონდეს ეკონომიკური დანაშაული და არ უნდა გააჩნდეს საკრედიტო დაწესებულების მიმართ შეუსრულებული ვალდებულებები. გარდა ამისა, პირი ვერ გახდება მისო-ს დირექტორი თუ წარსულში იყო კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორი და მისი საქმიანობის შედეგად აღნიშნული კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გადახდისუუნარო გახდა.


2006 წელს საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ ახალი რედაქციით ამოქმედდა და მისი ძირითადი არსი იყო საქართველოში მცირე საწარმოებისა და აგროსექტორის დახმარება იმ მეწარმეებისა თუ მოქალაქეებისთვის მცირე სესხების გაცემის გზით, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეეძლოთ კომერციული ბანკების სესხებით სარგებლობა. ამ ხუთნახევარგვერდიანი კანონის შემომქმედები ალბათ ვერც წარმოიდგენდნენ, თუ რა გამოყენებას ჰპოვებდა იგი არა მარტო იმ ორგანიზაციების მიერ, რომელთათვისაც, ფაქტობრივად, შეიქმნა იგი, არამედ იმ სუბიექტების მიერაც, რომლებსაც აზრადაც არ მოუვიდოდათ ასეთი “საჩუქრით” სარგებლობა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციას არ სჭირდებოდა არც მისი დამფუძნებლების კორპორაციული მართვის გადაჭარბებული ცოდნა, არც ფინანსური განათლება და არც დიდი და სიღრმისეული ექსპერტიზა იმ სექტორისა, რომელშიც მათ მოუწევდათ მოღვაწეობა. ერთადერთი, რაც იყო საჭირო – 250 ათასი ლარის ქონა და საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის გავლა, რაც ისევე იოლი იყო, როგორც ჩვეულებრივი ელექტრონული საფოსტო ყუთის გახსნა. მოკლედ რომ ვთქვათ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარი გახდა ერთგვარი თავშესაფარი - ზოგისთვის კანონის შემოვლითი გზით მოღვაწეობის

გასაგრძელებლად, როგორც ეს ონლაინსესხების გამცემი კომპანიების შემთხვევაში მოხდა, ზოგისთვის კი უბრალოდ თავისი სახელისა და იმიჯის გასაკეთილშობილებლად. ეროვნული ბანკი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ე.წ. “მსუბუქი რეგულირებით” და ამ ტერმინმა ბაზარი მიიყვანა იქამდე, რომ მასზე გაჩნდნენ “გაოფიციალურებული” მევახშეები, “იპოთეკების” გამცემები, ფინანსური შუამავლები და ყველა, ვისაც ოდნავ მაინც გაუგია, რა არის ფული და რომ მას შეუძლია, პროცენტი მოიტანოს. არავის არ უკვირს, რომ ასეთი საძირკვლის ჩაყრამ, წლების შემდეგ, სექტორის სრული დისკრედიტირება გამოიწვია არა მარტო მოსახლეობის, არამედ მაღალი ეშელონის სამთავრობო წრეების თვალშიც კი. მათ ეწერებოდათ მევახშეების, შუამავლებისა და ზოგჯერ “ყაჩაღების” სახელები. ხშირად საზოგადოებაში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ასოცირდება ისეთ სუბიექტებთანაც კი, რომლებიც ამ სტატუსთან ახლოსაც კი არ იმყოფებიან.

ამ ფონზე დაიწყო მიკროსაფინანსო ბაზარზე მყოფი სექტორის ლიდერების ე.წ. “იძულებითი ბიუტიფიკაცია”. პირველად ასეთი ფაქტი 2013 წელს დაფიქსირდა, როდესაც სექტორის იმდროინდელმა ლიდერმა – “ფინკა საქართველომ”, ეროვნული ბანკის თუ საკუთარი სურვილის შესაბამისად, დატოვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რიგები, მიიღო საბანკო ლიცენზია და საქმიანობა კომერციული ბანკის სტატუსით გააგრძელა. 2017 წლის 1 კვარტალში იგივე დაემართა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “კრედოს”, რომელმაც, ასევე აუხსნელი მოსაზრებით, გადაწყვიტა, საბანკო ლიცენზია მიეღო და კომერციული ბანკი გამხდარიყო. საქართველოს საფინანსო სექტორში ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანისთვისაც კი გაუგებარი რჩება, თუ რატომ უნდა დატოვოს სექტორის ლიდერმა თავისი ბაზარი და ისეთ ფინანსურ ინსტიტუტად გარდაიქმნას, რომელშიც ლიდერობის თეორიული შანსიც კი არა აქვს? – პასუხი ერთადერთია – რეგულატორს არ ძალუძს, მისი მწირი ადმინისტრაციული რესურსიდან გამომდინარე, ერთდროულად ორი სექტორი აკონტროლოს. გაცილებით მარტივია, ერთი სექტორიდან “გადაქაჩოს” მისი ლიდერები მეორეში, რომელშიც მას აქვს მეტი კონტროლისა და რეგულირების უფლებამოსილება და შესაძლებლობა.

იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს, თუ რა ზეგავლენა მოახდინა 2017 წლის პირველ კვარტალში “კრედოს” გადანაცვლებამ საბანკო სექტორში, საკმარისია, რამდენიმე რიცხვს შევხედოთ. 2016 წლის მეოთხე კვარტალის მონაცემებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრებსითი აქტივები შეადგენდა 2,019,805,895 ლარს, ხოლო უკვე 2017 წლის 1 კვარტალში (“კრედოს” გადაკეთება ბანკად) მათი აქტივები შემცირდა 31(!)%-ით და მხოლოდ 1,398,166,282 ლარი შეადგინა. ბაზრის წმინდა სესხები შემცირდა ასევე 31%-ით და შეადგინა 971,014,065 ლარი. განსხვავებით 2016 წლის მეოთხე კვარტალის მონაცემისგან – 1,399,598,157 ლარი. აი, ზუსტად ასეთი რყევები ხდება ბაზარზე, როდესაც მას ლიდერის გარეშე ტოვებენ.




აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომ არც “ფინკასა” და არც “კრედოს”, მათი ბანკებად გადაკეთების წინ, რაიმე სახის წინასწარი მარკეტინგული თუ საიმპიჯო კამპანია არ უწარმოებიათ, რაც იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მცირე ხანში ისინი საბანკო ლიცენზიას მიიღებდნენ და კომერციული ბანკები გახდებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს უფრო იძულებითი ზომა იყო, ვიდრე მათი სურვილი, გადაენაცვლებინათ ერთი შეხედვით უფრო გაკეთილშობილებულ სექტორში.

2.3. საბანკო რეგულაციების გავლენა საქართველოს საფინანსო სექტორზე

საქართველოს ეროვნული ბანკის უკანასკნელი ინიციატივების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გაეზრდებათ საკუთარი კაპიტალის ზღვრული მაჩვენებელი, რომელიც, ინიციატივის თანახმად, ჯერ გაორმაგდება, ხოლო შემდგომში გაოთხმაგდება, ანუ 2 მილიონი ლარი გახდება. დღეისათვის საქართველოში 72 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა რეგისტრირებული. მრავალი ექსპერტის აზრით, საკუთარი კაპიტალის ნორმის აწევა გამოიწვევს ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობის ჩამოშორებას, და ისინი, ისევე როგორც წლების წინ, გადაინაცვლებენ სრულიად არარეგულირებულ სივრცეში, სადაც მათ აღარ დაევალებათ არც რაიმე სახის ანგარიშგება, არც სესხის ზღვრული ლიმიტების დაცვა და არც კორპორაციულ ეთიკაზე ზრუნვა. მიზეზი მარტივია – არასოდეს არავის არ უზრუნია მიკროსაფინანსო სექტორის იმიჯის აწევაზე, მის, როგორც ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთ ჯანმრთელ ალტერნატივად წარმოჩენაზე. აქედან გამომდინარე, ამ ბაზრისთვის დამატებითი რეგულაციების დაწესება გაფილტრავს არაკვალიფიციურ მონაწილეებს, რომელთათვის, უკვე გაზრდილი მოთხოვნების პირობებში, სექტორში ყოფნა უბრალოდ უაზრობა გახდება, ხოლო ბაზრის კვალიფიციური სუბიექტები ალბათ ისევ გარდაიქმნებიან (ან მათ გარდაქმნიან) კომერციულ ბანკებად და დაიკარგებიან ქვეყნის საფინანსო ბაზარზე ორი დიდი საბანკო წარმონაქმნის მიერ უკვე ღიად და საჯაროდ გაცხადებულ კომერციული ბანკების რაოდენობის შემცირების გარდაუვალი ტენდენციის პირობებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წლის დეკემბერში ქვეყანაში სულ 75 მისო ოპერირებდა, მაშინ, როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში მათი რაოდენობა 81 ერთეული იყო, უფრო გვიან, 2017 წლის მაისში კი საქართველოში 88 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებდა. ხოლო 2019 წლის მონაცემით მათი რაოდენობა 58- მდე შემცირებული

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები



საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა საქმიანობა 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყეს. 2006 წლიდან კი მათი რაოდენობის აქტიური ზრდა იწყება, რაც 2016 წლამდე გრძელდება. 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსაც შეეხო, რამაც მათ გარკვეული ნაწილის დახურვა გამოიწვია. ბაზარზე შემორჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებიც მომხმარებელთა ინტერესების დაკმაყოფილებას კეთილსინდისიერად ცდილობდნენ და მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზე არ იყვნენ ორიენტირებული. რეგულაციების ახალი ტალღა კვლავ მოლოდინშია, რაც კიდევ ერთი გამოცდა იქნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. ბაზარზე დარჩებიან მხოლოდ ისინი, ვინც ბიზნესს კეთილსინდისიერად აწარმოებს.

და მაინც რა მოხდა 2016 წელს ისეთი, რომ მხოლოდ 2017 წელს 13 მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეწყვიტა ოპერირება, ხოლო 2019 წლის მონაცემით 56 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის რეგისტრირებული.

ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთებს ერთიანი ჭერი დაუდგინდათ, რომელიც წლიურ 100%-იან განაკვეთს შეადგენს. მთავრობის განმარტებით,

ინიციატივის მიზანს კრედიტორთა დაცვა წარმოადგენდა.

საპროცენტო განაკვეთის ჭერის დადგენამდე რიგ კომპანიებში, რომლებიც რეალურად ძალიან მარტივად გასცემდნენ სესხებს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 400-500% იყო და რიგ შემთხვევაში 700%-საც კი აღწევდა. მაქსიმუმ 100%-იანი განაკვეთის დადგენა კი არარენტაბელური გახდა კომპანიებისთვის, რომლებიც მომხმარებლების, ფაქტობრივად, გამარცვას ცდილობდნენ. ამ შემთხვევაში ისინი 100 ლარიან სესხზე პროცენტის სახით მხოლოდ 5, 86 ლარს მიიღებდნენ. ეს კი მათთვის ხელსაყრელი აღარ იყო და ბაზრიდან გავიდნენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2019 14 მაისიდან სესხის გაცემის პროცედურები გამკაცრდა.

"საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლებაზე მუშაობას. ამ მიზნით მომზადდა ცვლილებები "ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში", რომელთა გათვალისწინებაც ფინანსურ ორგანიზაციებს 2018 წლის 14 მაისიდან მოუწევდა.

ცვლილებების მიხედვით, გამკაცრდა მომხმარებლის ინფორმირების მოთხოვნები სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტების შეთავაზებისას. კერძოდ, ფინანსურ ორგანიზაცია ვალდებული იქნება მომხმარებლისთვის სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტის პირადი შეთავაზებებისას მას მიაწოდოს ინფორმაცია შეთავაზებული პროდუქტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება, მათ შორის, ისეთი დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით პროდუქტის შეთავაზებაზე, როგორიცაა, მაგალითად, ინტერნეტ-ბანკი, გადახდის თვითმომსახურების კიოსკები და ბანკომატები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ა.შ. მაგალითისათვის, თუ თქვენ მიიღეთ მოკლე ტექსტური შეტყობინება იმის შესახებ, რომ თქვენ დაგიმტკიცდათ სესხი, სავალდებულოა, რომ შეტყობინებაში ასევე იყოს მითითებული ამ შეთავაზების წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით, ამგვარი ვალდებულება ფინანსურ ორგანიზაციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდათ, თუ შეთავაზებაში პროდუქტის ფასის განმსაზღვრელ ნებისმიერ პარამეტრს მიუთითებდნენ.

ამასთან, ცვლილებებით განისაზღვრა ფინანსურ ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით ხელშეკრულებების დადების წესი, რაც, მათ შორის, გულისხმობს მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და შეთავაზების პირობების წინასწარ მიწოდებასა და ამ ინფორმაციის შემდგომ ხელმისაწვდომობას, ასევე მომხმარებელთან ზეპირი კომუნიკაციის სტანდარტებს. ზემოაღნიშნული ცვლილება შესაბამისობაშია "მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის" შესახებ ევროდირექტივის მოთხოვნებთან.

გარდა ამისა, განისაზღვრა ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულება უზრუნველყოს სესხების გამჭვირვალედ ამორტიზაცია, რაც გულისხმობს დარიცხული პროცენტის დაანგარიშებისას ყოველდღიური დარიცხვის პრინციპის გამოყენებას. ასევე, დაზუსტდა ხელშეკრულების ფორმების ნიმუშები მათი შინაარსის უფრო ცხადად გამოხატვისა და მომხმარებლის ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მექანიზმების გაძლიერებისა და ფინანსური ორგანიზაციების მიმართ მოთხოვნების ევროდირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით" - აღნიშნულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ახალი რეგულაციებმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობას შეამცირა. მიკროსაფინანსოების დიდი ნაწილი შეიძლება ბაზრიდან საერთოდ გაქრას. საქმე ეხება ეროვნული ბანკის ახალ რეგულაციას, როდესაც ასეთი ორგანიზაციების საზედამხედველო კაპიტალი 1 წლის განმავლობაში ოთხმაგდება. სებ-ი პოზიციის შეცვლას არ აპირებს, თავად მიკროსაფინანსოები კი საკითხს სხვადასხვაგვარად უყურებენ.

კომერციული ბანკების შემდეგ, რომელთაც საზედამხედველო კაპიტალი 12 მილიონიდან 50 მილიონამდე გაეზარდათ, მომავალი წლიდან საწესდებო კაპიტალი უკვე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გაეზრდებათ. ამჟამად მიკროსაფინანსოებისთვის დადგენილი მინიმალური კაპიტალის ზღვარი 250 000

ლარია. ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, აღნიშნული ზღვარი მომავალი წლიდან ნახევარ მილიონ ლარამდე, 2019 წლიდან კი 1 მილიონ ლარამდე გაიზრდება.

როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ცვლილებები ფინანსური სტაბილურობის უზრინველყოფასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას უკავშირდება.

საბანკო სექტორში განხორციელებული უახლოესი რეგულაციების მიხედვით, რომელიც 2019 წლის იანვრიდან ამოქმედდა გამკაცრებულია ფიზიკური პირის დაკრედიტების პროცესი. კერძოდ:

1. შეიზღუდა სესხის ყოველთვიური გადასახადი და მიზნობრიობა ანუ განისაზღვრა თვეში მაქსიმუმ რა თანხის გადახდა შეგიძლია ვალდებულებებში შენი შემოსავლის გათვალისწინებით. სიტყვაზე, თუ შენი თვიური შემოსავალი 1000 ლარზე ნაკლებია და უცხოურ ვალუტაში გაქვს რამე სესხი, თვეში შეიძლება ამ შემოსავლის მხოლოდ 25% მიმართო სესხის დასაფარად, ხოლო თუ შენი შემოსავალიც და სესხიც ერთსა და იმავე ვალუტაშია, მაშინ შემოსავლის მაქსიმუმ 35%-ს სესხის მიმართავ ყოველთვიურ გადასახადზე. ასევე, შემოსავალს გამოკლებული სესხის ყოველთვიური გადასახადი აუცილებლად უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს.

2. შეიცვალა შემოსავლის დადასტურების პროცესიც ნებისმიერი ტიპის ვალდებულების აღებისას აუცილებლად უნდა დაადასტურო შემოსავალი. რეგულაცია ეხება როგორც ბანკებს, ასევე, სესხის გამცემ ყველა სუბიექტს. შემოსავლებად განისაზღვრება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი, რომელიც დასტურდება საბანკო ამონაწერით ან შემოსავლების სამსახურის მონაცემით. თუ არარეგულარული შემოსავალი გაქვს, დაითვლება საშუალო მაჩვენებელი ან მედიანა.

3. შეიზღუდა სესხის გადახდის ხანგრძლივობა აქამდე თუ მეტნაკლებად თავად ირჩევდი, რა ვადით გსურდა სესხის აღება, ახლა სესხის გაცემის ახალი რეგულაციების მიხედვით, მაქსიმალური დრო განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- სამომხმარებლო სესხი (მათ შორის საკრედიტო ბარათი, ოვერდრაფტი, განვადება) მაქსიმუმ 4 წლიანი ვადით;
- ავტო სესხი მაქსიმუმ 6 წლიანი ვადით;
- ახალი რეგულაციები იპოთეკურ სესხებზე ნიშნავს იმას, რომ ამ ტიპის სესხები გაიცემა მაქსიმუმ 15 წლიანი ვადით;
- უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი 10 წლამდე ვადით შეიზღუდება სესხის გაცემის ახალი რეგულაციებით;

განხორციელებული ცვლილებების მთავარი კომპონენტი სწორედ პასუხისმგებლიანი დაკრედიტებაა, რაც გულისხმობს სესხის გაცემას მხოლოდ მსესხებლის გადახდისუნარიანობის შესწავლის შემდეგ. ეს პრინციპი ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს. ამასთან, ის ევროდირექტივების მოთხოვნაცაა. თუმცა, ამ მიდგომის გამკაცრების საჭიროება განსაკუთრებით გამოიკვეთა 2008 წლის გლობალური კრიზისის შემდგომ, როდესაც ის ფიზიკურ პირები, რომლებსაც ჭარბი სესხები ჰქონდათ (საუბარი, ძირითადად იპოთეკურ სესხებზეა), განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ბაზრის პირობები მკაცრდება შემდეგი მიზეზებით: მოთხოვნა უფრო სწრაფადი ზრდება კრედიტებზე, ვიდრე საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტები ახდენენ ფული საკუმულაციას და მოზიდვას. მეორე ფაქტორია რისკების ზრდა. კრიზისებმა და შექმნილმა ვითარებამ კიდევ უფრო მეტად დაამძიმა ბიზნესგარემო, ბანკები ამის საპასუხოდ ზრდიან მოთხოვნებს სესხებზე.

ყოველივე ამის გასანეტრალეზლად აუცილებელია:

1. საფინანსო ინსტიტუტების მიერ ბიზნესის დაგეგმვისა და სტაბილურობის გაზრდა, მათი რისკების შემცირება და ბიზნესის წვდომის გამარტივება, რაც ხელისუფლებამ უნდა წარმართოს რეფორმების სახით.

2. ბიზნესის წარამოდგენელთა ცნობიერების ამაღლება, ტრენინგების დახმარებით ბიზნესის დაგეგმვასა და მართვაში.


3. პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა და განვითარება, რაც სტაბილურ სგახდის ბიზნესში ღირებულების ზრდის ჯაჭვს. ეს და რიგი სხვა გარემოებები მნიშვნელოვნად შეამცირებენ მეწარმეთა არასტაბილურ და რისკიან

გარემოს და ხელს შეუწყობენ ბანკებსა და არასაბანკო ინსტიტუტებთან მდგრადი ურთიერთობების დამყარებას.


ახალ საბანკო რეგულაციებთან დაკავშირებით ჩავატარე კვლევა. სოციალურ ქსელში გამოვიკითხე 114 რესპოდენტი. გთავაზობთ შეკითხვებს თავისი შედეგებით.

გამოკითხულთა უმეტესობა 70% არის 25-35 წლის მოსახლეობა, რომელიც წარმოადგენს კერძო სექტორში დასაქმებული მოსახლეობის ყველაზე დიდ ნაწილს.


გამოკითხულთა ასაკობრივი ზღვარი




სარგებლობით თუ არა
ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის
სესხით ან განვადებით?




რომელი საფინანსო ინსტიტუტის სესხით
სარგებლობთ?




რომელ ბანკში გაქვთ სესხი/განვადება?



როგორი ტიპის სესხით სარგებლობთ?



თვლით თუ არა, რომ ახალი საბანკო რეგულაციების შედეგად გამკაცრდა სესხის/განვადების დამტკიცება?



გამოკითხული რესპოდენტების 69% სარგებლობს საბანკო პროდუქტებით: სესხითა და განვადებით. აქედან, ძირითადი ნაწილი 81% მოდის კომერციულ ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ონლაინ სესხებზე მხოლოდ 4%.

ეს შედეგი განპირობებულია მისოებისა და ონლაინ სესხების შემცირებასთან და ბაზრიდან გასვლასთან, ასევე, საკმაოდ მაღალ საპროცენტო განაკვეთთან, რომელსაც ზემოთ აღნუშთული ორგანიზაციები სთვაზოვენ მომხმარებლებს.

რაც შეეხება კომერციული ბანკებზე მოთხოვნას ჩემი კვლევის იხედვით ლიდერობს საქართველოს ბანკი 44%, მას მოჰყვება თიბისი ბანკი 33% ით, კრედიო ბანკი 14 %, ვითიბი ბანკი 5% და სხვა ბანკები ჯამში 4%. აღნიშნული შედეგი განპირობებულია კვლევის სუბიექტების სპეციფიკაზე. როგორც აღვნიშნე კვლევა ჩატარებულია სოციალურ ქსელში და ძირითად ნაწილ შეადგენენ ქალაქში მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც დასაქმებულია კერძო ან საჯარო სექტორში და რომელიც ძირითადად სარგებლობს სახელფასო სესხით. იმის გათვალისწინებით, რომ სახელფასო ანგარიშების მომსახურებით

ლიდერ ბანკებს წარმოადგენენ საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი, შესაბამისად, ამ შეკითხვის მიხედვითაც ეს ორი ბანკი ლიდერობს.

გამომდინარე კვლევაში მონაწილე სუბიექტების სპეციფიკისა, 64% სარგებლობს სამომხმარებლო სესხით, 20% იპოთეკურით, ხოლო ბიზნეს მიზნობრიობით სულ რაღაც 2%.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის შეფასება საფინანსო სექტორში ბოლო დროს განხორციელებულ რეგულაციებთან დაკავშირებით. ანუ როგორ იმოქმედა რეგულაციებმა სესხის აღების პროცესებზე. შედეგი საკმაოდ ნათელია და გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი 88,9 % მიიჩნევს, რომ სესხის აღების პროცესი გამკაცრებულია, 3,7 % ამბობს რომ უცვლელი დარჩა, ხოლო სულ რაღაც 7,4 % ამბობს რომ შესუსტდა.

საბანკო კრედიტის პირობების გამკაცრება უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, ამდენად მისი განეიტრალება უნდა მოხდეს საბანკო და კრედიტების პირობების ლიბერალიზაციით, რომელიც მოიცავს მეწარმეთათვის კრედიტების საშელავათო პერიოდის გადიდებას, საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და საკრედიტო მომსახურების პირობების გაუმჯობესებას.

წინასწარი არასრული ინფორმაციით 2019 პირველ კვარტალში მთლიანი საკრედიტო პორტფელის ზრდამ კურსის ეფექტის გამორიცხვით წლიურად დაახლოებით 15% შეადგინა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ამასთანავე, იანვარ-თებერვალში მნიშვნელოვნად გაზრდილია ბიზნეს სესხების წილი მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სისტემის ერთ-ერთი მსხვილი სესხის (დაახლოებით 300 მილიონი ლარი, რომელიც მთლიანი საკრედიტო პორტფელის 1%-ზე მეტია) დაფარვა მოხდა. რაც შეეხება, ფიზიკური პირების დაკრედიტებას, სამომხმარებლო სესხების წლიური ზრდა შემცირდა, თუმცა 5%-ის ფარგლებში რჩება, ხოლო იპოთეკური სესხების წლიური ზრდა ამ ეტაპზე კვლავ 30%-ს აჭარბებს. აღნიშნულ ზრდაში იზრდება ლარით გაცემული იპოთეკური სესხების წილი.

გატარებულმა ცვლილებებმა გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო. სახეზეა იპოთეკური სესხების პორტფელის ხარისხის გაუმჯობესება, რაც კარგად ჩანს

სესხის მომსახურების შემცირებულ კოეფიციენტებში. საგულისხმოა, რომ ახალ გაცემულ იპოთეკურ სესხებში მკვეთრად გაზრდილია ლარის წილი, რაც მოსახლეობის მეტ დაცულობას უზრუნველყოფს. ამასთან, ბაზარზე გამოჩნდა ლარის იპოთეკური სესხები მკვეთრად შემცირებული საპროცენტო განაკვეთებით. დაახლოებით 9,15 პროცენტი ეფექტური. ასევე, აღარ გაიცემა შემოსავალთან არაპროპორციულად მაღალი ტვირთის მქონე ახალი სესხები, რომლებიც მოსახლეობისთვის ფინანსური პრობლემების მთავარი წყარო იყო და როგორც მოგესენებათ, უამრავ წერილს ვიღებთ ხალხისგან რომლებიც ვალაუვალნი არიან. ყოველივე ამის შედეგად, მოსახლეობის დაკრედიტების ზრდის ტემპი ეტაპობრივად მდგრად დონეს მიაღწევს. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ 2019 წლიდან მნიშვნელოვნად გაზრდილია ბიზნესის დაკრედიტების წილი, განსაკუთრებით აქტიურია საშუალო და მცირე ბიზნეს სეგმენტი. გარდა ამისა, მთლიანად მაკრო სურათს თუ შევხედავთ, გაუმჯობესებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რაშიც ამ რეგულაციების წვლილიცაა. ეს იმ პოზიტიური შედეგების არასრული ჩამონათვალია, რაც უკვე ამ პერიოდში შეგვიძლია დავინახოთ. ამასთან, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ თებერვლის მონაცემებით მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი 15%-ის ფარგლებშია, ხოლო მარტის მონაცემებით დაახლოებით 14%-ის ფარგლებშია. რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევაში განხილული იყო ის ძირითადი საკითხები, რაც განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოში. აღნიშნული იყო ამ საქმიანობაში საქართველოს ეროვნული ბანკის როლი, როგორც სამართლებრივი ჩარჩოს შემქმნელი ინსტიტუტის.

- საფინანსო სექტორის ოპტიმიზაცია ნებიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. სწორედ ამიტომ სეზ-ი ზემოთ ჩამოთვლილი რეგულაციებით ცდილობს ჩამოაყალიბოს ისეთი სამართლებრივი ბაზა, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას ოპტიმალურთან მიახლოებს.
- ის რომ, არასაბანკო საფინანსო სექტორს რეგულირება სჭირდება, ამაზე ყველა თანხმდება. ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს, რათა საქართველოში სტაბილური ფინანსური სექტორი შენარჩუნდეს. როდესაც ეროვნული ბანკი რეგულაციაში რამე ცვლილებას ახორციელებს, ეს ყოველთვის ხდება სექტორთან კონსულტაციის საფუძველზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი გააკეთებს ზუსტად იმას, რასაც სექტორი უკარნახებს. ეს სექტორი უნდა გახდეს ისეთი გამჭვირვალე და ინვესტორებისთვის მიზიდველი, როგორიც არის საბანკო.
- რეგულაციების გამკაცრება წინ გადადგმული ნაბიჯია. აღნიშნული გამოიწვევს ბაზარზე არსებული კომპანიათა ხარისხის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში სერვისის დამაკმაყოფილებელ დონეზე აგვიყვანს და მომხმარებელთა მოთხოვნები სრულიად იქნება დამაკმაყოფილებელი. რა თქმა უნდა, მცირე მოთამაშეები შეიძლება ბაზრიდან გაქრნენ, თუმცა აღნიშნული რეგულაციების შესახებ უკვე 1 წელია ცნობილია და ბაზარს დატოვებენ ის კომპანიები, რომელთან მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება პირველად პრიორიტეტად არ ჰქონდათ დასახული.
- 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული პასუხისმგებლიანი დაკრედიტების წესების მიზანია უზრუნველყოს მსესხებელსა და გამსესხებელს შორის ჯანსაღი, ორმხრივ სარგებელზე დაფუძნებული საკრედიტო ურთიერთობები და სისტემური რისკების შემცირება. დებულების ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სესხი უნდა გაიცეს მასზე, ვისაც მისი ადეკვატურად მომსახურების

უნარი გააჩნია და სესხმა არ უნდა შეუქმნას მსესხებელს განსაკუთრებული ფინანსური სირთულეები. ფინანსურმა ორგანიზაციამ სესხი არ უნდა გასცეს, როდესაც წინასწარ იცის, რომ ამ ოპერაციით გაუარესდება მსესხებლის პოზიცია, მიუხედავად იმისა, ეს სესხი მომგებიანია მისთვის თუ არა.

- ამდენად, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული, ჯანსაღ დაკრედიტების წახალისებაზე ორიენტირებული პრაქტიკა მხოლოდ ისეთ სესხების შეზღუდვას ითვალისწინებს, რომლებიც თავიდანვე გაკოტრებისთვის იყო განწირული. აღნიშნული ინიციატივა სესხების მდგრადი ზრდის შენარჩუნებასა და სისტემური რისკების მინიმიზაციას უზრუნველყოფს. ასეთი რეგულაციები აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის. ჩვენ შეიძლება გვქონდეს მოკლევადიან პერიოდში მაღალი ზრდა, მაგრამ თუ ეს მდგრადი არ არის, მომავალში ასეთი მიმართულება ფინანსურ კრიზისს და რეცესიას გამოიწვევს უმუშევრობის ზრდასთან ერთად.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, მაკროპრუდენციული პოლიტიკის გატარება არაპოპულარულია, რადგან ის ხშირად მოკლევადიან პერიოდში სირთულეებთან არის დაკავშირებული, ხოლო მისი სარგებელი, ისეთები როგორიცაა მაღალი და სტაბილური ზრდა, მაღალი დასაქმება და დაბალი ფისკალური ხარჯები, მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში ჩანს. ამიტომაც არის რთული მსგავსი რეგულაციების განხორციელება და ამიტომაც არის, რომ განვითარებული ქვეყნები უფრო სწრაფად და უფრო მკაცრად ახდენენ ასეთი რეგულაციების დანერგვას, ვიდრე ნაკლებად განვითარებული. ეროვნულმა ბანკმა არ უნდა დავუშვას ფინანსური სტაბილურობის რისკების ზრდა, თავიდან უნდა ავიცილოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ვარდნა და უმუშევრობის მაღალი დონე, რაც ფინანსურ კრიზისებს როგორც წესი შედეგად მოსდევს ხოლმე. ზოგადად, რეგულაციების გატარება ყველაზე მარტივი კრიზისების მერეა, თუმცა, თუ ხელისუფლებისათვის ქვეყნის მდგრადი განვითარება პრიორიტეტია და მხოლოდ მოკლევადიან მიზნებზე არ არის კონცენტრირებული. ეროვნული ბანკი როგორც მოგეხსენებათ ის ინსტიტუტია, რომელიც საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებზე ფოკუსირდება

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე გ., 2007-2008წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბ., 2014
2. ბერიძე რ. საბანკო მენეჯმენტი (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009
3. გრიგალაშვილი ნ., საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ინსტრუმენტები, გამომცემლობა „დანი“ თბ., 2012
4. გოგოხია მ. - საბანკო საქმე (ლექციების კურსი), გამომცემლობა „ინოვაცია“ – თბ., 2008.
5. კაკულია რ., ხელაია გ., ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, გამომცემლობა „თსუ“ ,თბ., 2012
6. კაკულია რ., ფინანსების ზოგადი თეორია, გამომცემლობა „ ფინანსები“, თბ., 2009
7. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. - თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014.
8. მოსაშვილი ვ., მამაცაშვილი ე., ახალკაციშვილი ნ., საბანკო საქმე, გამომცემლობა „დანი“ თბ., 2010
9. ხადური ნ., ეკონომიკური ზრდა რეალობა და პერსპექტივები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2010
10. ხომერიკი თ., საკრედიტო ბაზრის განვითარება არამდგრად გარემოში, გამომცემლობა „თსუ“, თბ., 2014
11. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო მენეჯმენტი, გამომცემლობა „დანი“ თბ., 2015
12. ცაავა გ. და ხანთაძე გ. - „საბანკო საქმე“ (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014
13. ქოქიაური ლ. - „საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე)“, ტომი I, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2007.
14. Linton J. 2002. Implementation Research: State of The Art and Future Directions // Technovation, Vol. 22, No. 2,

15. OECD (1995). Proposed Standard Practice for the Collection and Interpretation of Data on the Technological Balance of Payments // Paris, OECD.
16. Cooper J.R. (1998). A Multidimensional Approach to the Adoption of Innovation // Management Decision, Vol. 36, No. 8,
17. Barnett H.G. (1953). Innovation: the Basis of Cultural Change // New York: McGraw Hill.
18. Drucker P. F. (1985). Innovation and Entrepreneurship // Heinemann, London
19. Белоглазова Г.Н.- Деньги, кредит, банки: Учебник. – Москва: Высшее образование, 2009.
20. Лаврушин О.И. – Банк и банковские операции, учебник. – Москва, «Кнорус», 2012
21. Роджер Л. Миллер, Девид Д. Ван-Хуз, - Деньги и Банковское дело - Москва, изд. «Информ-М», 2000
22. Ериашвили Н.Д. – Банковское право: учебное пособие для ВУЗ-ов – Москва, изд. «Юнити-Дана», 2002 г.
1. საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები 2010-2018 წ.წ.
2. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.05.2019
3. საქართველოს კანონი ეროვნული ბანკის შესახებ, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.05.2019
4. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.05.2019
5. www.centralbanking.com უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.05.201
6. www.worldbank.org უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.04.2019
7. www.ifc.org უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 29.05.2019
8. www.oecd.org უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.04.2019
9. www.nbg.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2019
10. www.forbes.ge უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 04.22.2019
11. www.matsne.gov.ge უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 05.16.2019.

